

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი



თამარ ღულუნიშვილი

**ბიზნეს რისკები მართვის აქტუალური საკითხები
საქართველოში (თაღლითური ბიზნეს რისკის მაგალითზე)**

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა, მენეჯმენტი

ნაშრომი შესრულებულია

ბიზნესის ადმინისტრირების

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის ხელმძღვანელი,
პროფესორი-დავით ნარმანია

თბილისი

2020

ანოტაცია

თაღლითობასთან დაკავშირებული ბიზნეს რისკი, საფრთხეს უქმნის ორგანიზაციის არსებობას. ნაშრომში განხილულია თაღლითურ რისკთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევები საქართველოში, როგორც საჯარო აგრეთვე კერძო სექტორში, ასევე მოყვანილია რისკთან ეფექტური ბრძოლის მაგალითები ქართულ რეალობაში. საკვლევ საკითხთან დაკავშირებით განხილულია საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები რისკებთან და თაღლითურ ბიზნეს რისკებთან მიმართებაში. აღწერილია განვითარებული ქვეყნების საკანონმდებლო ბაზების შედარებითი ანალიზი ქართულ საკანონმდებლო ბაზასთან რისკების კერძოდ კი თაღლითური რისკების რეგულირების კუთხით.

თაღლითურმა რისკმა შესაძლებელია დააზარალოს, როგორც ორგანიზაცია აგრეთვე ზიანი მიაყენოს ზოგადად ქვეყნის იმიჯს ინვესტიციური მიმზიდველობის კუთხით, ნაშრომი მოიცავს ინტერვიუს სამთავრობო წარმომადგენელთან ინფორმაციულ დაცულობაზე.

Abstract

Business risk management issues in Georgia

(On the example of fraudulent business risk)

Tamar Gugunishvili

Business risk related to fraud threatens the existence of the organization. The paper discusses the main challenges related to fraud risk in Georgia, both in the public and private sectors, as well as examples of effective risk management in the Georgian reality. Recommendations of international organizations regarding risks and fraudulent business risks are discussed in relation to the research issue. A comparative analysis of the legislative bases of developed countries with the Georgian legislative base in terms of risk regulation, particularly fraudulent risk, is described.

Fraud risk can harm both the organization and the overall image of the country in terms of investment attractiveness, the paper includes an interview with a government official on information security.

სარჩევი

ანოტაცია

Abstract

შესავალი	5
ძირითადი ნაწილი.....	9
ბიზნეს-რისკების მართვის თეორიული საფუძვლები.....	9
საკითხის დამუშავების დონე	19
თაღლითობის რეგულირება ქართულ კანონმდებლობაში	29
თაღლითობა ბრიტანულ კანონმდებლობაში.....	32
თაღლითობა გერმანულ კანონმდებლობაში	34
თაღლითობა ფრანგულ კანონმდებლობაში	36
თაღლითობა ამერიკულ კანონმდებლობაში	36
ევროკავშირის რეგულაციები თაღლითობის წინააღმდეგ	38
თაღლითური ბიზნეს რისკის არსი და სახეობები საქართველოში	40
ქსელური მარკეტინგი თუ ფინანსური პირამიდა.....	42
თაღლითობა დაკავშირებული მიწის რეგისტრაციასა და უძრავი ქონების ბიზნესთან;.....	46
პერსონალური მონაცემის ქურდობა.....	50
დასკვნა	52
References	55

შესავალი

„უმჯობესია დამარცხდე პატიოსნებით, ვიდრე მოიგო თაღლითობით“

(სოფოკლე)

ნებისმიერი საქმიანობის წინაპირობაა დაგეგმვა, გეგმაში კი განხილულია რა რესურსი გაგვაჩნია, რა შეიძლება მიღწეულ იქნეს დროის გარკვეულ მონაკვეთში რესურსების გათვალისწინებით და როგორ. გეგმაში აუცილებლად განისაზღვრება მოვლენების ცვალებადობა რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ხელი შეუწყოს გეგმის განხორციელებას. არასასურველი მოვლენის მოხდენის ალბათობაა რისკი, რომელმაც შესაძლოა ზიანი მოუტანოს საქმიანობას. ყოველთვის მნიშვნელოვანია ობიექტურად განისაზღვროს რისკები, თუ შესაძლებელია პრევენციული ღონისძიებებით მისი არიდება, თუ არა საჭიროა დაიგეგმოს მოქმედებები რაც ხელს შეუწყობს არასასურველი მოვლენის მოხდენის შემთხვევაში დანაკარგის შემცირებას და სწრაფ რეგენერაციას.

რისკების განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი ასპექტია დაგეგმავს პროცესში, რადგან არასასურველმა მოვლენამ რომლის შესახებაც პროგნოზი არ არსებობს შესაძლებელია უდიდესი ზიანი გამოიწვიოს. სწორედ ამიტომაც სტიქიური უბედურებები ყველზე ძლიერი რისკი მათი პროგნოზირება შეუძლებელია ძირითადად და გამანადგურებელი ეფექტი აქვს. გარდა სტიქიური უბედურებებისა არსებობს მოვლენები რომელთა წინასწარ განსაზღვრა შესაძლებელია და სწორედ მათი მართებულად მართვით მიიღწევა სასურველი შედეგი.

რისკი ბიზნესის განუყოფელი ნაწილია ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც ეკონომიკური საქმიანობა პრიმიტიულ დონეზე იყო და პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. ნებისმიერი ბიზნესი იქნებოდა მომგებიანი, რომ არ არსებობდეს მოულოდნელობები, რომელმაც შესაძლოა ზიანი მოუტანოს ბიზნესს საქმიანობას. ადამიანები ცდილობდნენ განესაზღვრათ რა

მოვლენა შეიძლება მომხდარიყო რაც ხელს შეუშლიდა მათ საქმიანობას მომავალ წარმატებაში. ახდენდნენ ხელის შეშლილი მოვლენების კლასიფიკაციას რათა საწინააღმდეგო მოქმედებების სტანდარტიზაციით რისკების მართვა გაემარტივებინათ, დაეზოგათ რესურსები. შემდეგ ზომავდნენ გატარებული ღონისძიების შედეგს და დროთა განმავლობაში პრაქტიკა იხვეწებოდა რეტროსპექტიული გამოცდილება და მეტი ცოდნა რისკების მინიმიზაციის საშუალებას იძლეოდა.

რისკის ერთ ერთი მაგალითია თაღლითობა, იგი ისეთი რისკია რომლის თავიდან არიდებაც შესაძლებელია, იმ შემთხვევაში კი თუ არ ან ვერ მოხდება მისი არიდება შესაძლებელია დიდ ზარალი მიადგეს ორგანიზაციას. თაღლითობა სულაც არაა ახალი ტერმინი. ჯერ კიდევ ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 300 წლის ცნობები არსებობს თაღლითობის ფაქტთან დაკავშირებით, ბერძენი მოვაჭრის, ჰეგესტრატოს შესახებ, რომელმაც აიღო დაზღვევა, რომელიც გემის გირავნობას გულისხობდა ფულის სანაცვლოდ და თუ გემი ჩაიძირებოდა სესხის გადახდისგან თავისუფლდებოდა დაზღვევის მფლობელი, თუ გადარჩებოდა გამსესხებელი მიიღებდა ძირ თანხას და პროცენტს პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ. იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი უარს იტოვდა თანხის დაბრუნებაზე გამსესხებელი დაიტოვებდა გემს ტვირთთანად. ჰეგესტრატოსმა გადაწყვიტა ჩაეძირა ცარიელი გემი, ამით დაიტოვებდა სესხსაც და აგრეთვე გაყიდული პროდუქციიდან შემოსავალს. თუმცა მას გეგმა ჩაეშალა (BEATTIE, 2019). აღნიშნული წარმოადგენს პირველ წერილობით ცნობას თაღლითობის ფაქტის შესახებ.

ის ფაქტი, რომ თაღლითობას დიდი ისტორია აქვს სულაც არ ამარტივებს ფაქტების გამოვლენას და მათზე რეაგირებას. კაცობრიობის განვითარების პარალელურად ვითარდებოდა თაღლითობის ფორმები და არაერთი ინდივიდი თუ კერძო ბიზნესი ხდებოდა მისი მსხვერპლი. ხშირ შემთხვევაში თაღლითობით ზარალდება სახელმწიფოც.

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად თაღლითობის ისეთი ფორმების განვითარება გახადა შესაძლებელი რომლის არსებობასაც მანამდე ვერვინ წარმოიდგენდა, მაგალითად ასეთია ქსელური მარკეტინგი, ძალიან ხშირია თაღლითობ სამშენებლო ბიზნესში, აგრეთვე მრავალი მოდელი არსებობს ფინანსური პირამიდის და გაცილებით მეტია მათგან დაზარალებული სუბიექტი. მნიშვნელოვანი და ინოვაციურია თაღლითობის ფორმა იდენტობის მოპარვა და შემდგომ ყალბი საბანკო ბარათების დამზადება.

თაღლითობა მწვავე პრობლემას წარმოადგენს როგორც განვითარებულ ქვეყნებში აგრეთვე განვითარებად სახელმწიფოებში. განსაკუთრებით მძიმე ტვირთია ნაკლებად ძლიერი ეკონომიკური ქვეყნებისთვის როგორცაა საქართველო. ბევრი ადამიანი ებრძვის სიღარიბეს ამიტომ ისინი სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ და ყველაზე აბსურდულ ტყუილსაც იჯერებენ გამდიდრების იმედით, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით...

თაღლითობასთან ბრძოლა რთულია ძლიერი სახელმწიფოებისთვის, რადგან კრიმინალები ფარულად მოქმედებენ ან ჯერ არ არსებობს კანონმდებლობაში კრიმინალად კლასიფიცირებული მათი საქმიანობა.

რაც შეეხება განვითარებად ქვეყნებს განათლების დაბალი დონე ხელს უწყობს ადამიანებს დაიჯერონ არარეალური საქმიანობისგან სარგებლის მიღების მითები და რაც მეტი ადამიანი ლატაკდება მით მეტად მძიმდება სოციალური ფონი და ცრუ ბიზნესების გამო ადამიანები ნდობას რეალური ბიზნესის მიმართაც კარგავენ.

პრევენციული ღონისძიებებით თაღლითებთან ბრძოლა, ესაა ყველაზე ეფექტური იარაღი მათ წინააღმდეგ, თუმცა რთულია პრევენციული ზომების მიღება ნოვაციების წინააღმდეგ.

ქვეყანაში არსებობს დაზარალებული ინდივიდები ბიზნეს სუბიექტები, და ხელისუფლებას აქვს გარკვეული სტრატეგია შემუშავებული თუ როგორ ებრძოლოს ზოგიერთ თაღლითურ საქმიანობას.

პრობლემა აქტუალურია ქართულ რეალობაში რადგან ქვეყანა ცდილობს ინვესტიციების მოზიდვას და თაღლითურმა კონკურენტებმა შესაძლოა ხელი შეუშალონ ინვესტორს გადაწყვეტილების მიღებაში მოახდინოს ფულის დაბანდება ან რეპუტაცია შეულახოს კონკრეტული მიმართულების ბიზნესს. ათობით ათასი მოქალაქის მატერიალური მდგომარეობა უარესდება.

კვლევის მიზანია განვიხილო საერთაშორისო პრაქტიკული მაგალითები რამდენად შეიძლება მათმა დანერგვამ გააუმჯობესოს მდგომარეობა.

აგრეთვე ჩაღრმავებული ინტერვიუს მეშვეობით დავადგენთ დარგის ექსპერტებთან და სახელმწიფო წარმომადგენლებთან რა ეტაპზეა ქვეყანა თაღლითობასთან ბრძოლის კუთხით და რა ღონისძიებები იგეგმება მომავალში.

ძირითადი ნაწილი

ბიზნეს-რისკების მართვის თეორიული საფუძვლები - რისკებზე საუბრისას აუცილებელია განიმარტოს თვითონ ცნება, რისკი. რა არის რისკი, საიდან მომდინარეობს ან როდის დაფიქრდა კაცობრიობა რისკის მეცნიერულ შესწავლაზე?- მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ „რისკი“ მომდინარეობს ძველ ბერძნულიდან (rhizikon) (Webster, 2020) ან ძველი ლათინურიდან (rescare), Webster-ის მიხედვით ძველ საბერძნეთსი ტერმინი შევიდა არაბულიდან(rizq). პირველად რისკი გამოყენეს საფრანგეთში 1578 წელს (Hamilton C., Adolphs S., Nerlich B., 2007). პირველი განმარტება მოგვცეს ფილმორმა და ტკინსმა, მათი განმარტებით რისკი არის შესაძლებლობა არასასურველი შედეგისა როგორცაა ზიანი(the possibility of an unwelcome outcome such as 'harm') (Hamilton C., Adolphs S., Nerlich B., 2007). მას შემდეგ არაერთმა ორგანიზაციამ თუ მეცნიერმა განმარტა რისკი და აღსანიშნავია რომ რისკს ძირითადად მოიხსენიებენ უარყოფით, ნეგატიურ კონტექსტში. თუმცა უნდა აღინიშნოს რომ რისკს შესაძლოა ჰქონდეს აგრეთვე დადებითი, პოზიტიური შედეგი. არის შემთხვევები, როდესაც რისკს განუსაზღვრელი შედეგი აქვს.

რისკის განვითარების 3 სტადიებს გამოყოფს დავით ნარმანია თავის წიგნში(რისკ მენეჯმენტი ბიზნესში). პირველ სტადიად სარისკო მდგომარეობის გამოჩენას ასახელებს, მეორე ესაა მდგომარეობის პრაქტიკულად მართვა და ბოლოს შედეგი რაც წინა სტადიებიდან გამომდინარეობს. (ნარმანია, 2016). რისკთან დაკავშირებული ნაშრომების ძირითადი ნაწილი ეხება შესაძლო ზიანის წინასწარ განსაზღვრას, პრევენციას, დაზღვევას. ყველაზე მარტივი მათემატიკური ფორმულა, რომლითაც რისკს გამოითვლიან

რისკი = (შემთხვევის მოხდენის ალბათობა) x (შემთხვევის მოხდენისას მოსალოდნელი დანაკარგი)(ნარმანია, 2016), გვ. 19.

რასაკვირველია ეს თანამდეროვე ეპოქაში, კომპიუტერული შესაძლებლობების გათვალისწინებით გაცილებით რთული მათემატიკური ფორმულები არსებობს რომლის მეშვეობით ხდება რისკების გამოთვლა, აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ შემოთავაზებულია დახვეწილი მოდელები, რომლებიც წარმატებით გამოიყენება პრაქტიკაში ლიდერი კომპანიების მიერ.

ძირითადად რისკების საკითხზე მომუშავე ორგანიზაციები პირველ რიგში ახდენენ რისკების კლასიფიკაციას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით რათა შედარებით იდენტურ რისკებზე ზემოქმედებისთვის სტანდარტული მეთოდები შეიმუშაონ. ასეთი ორგანიზაციაა მაგალითად ISO, COSO(Committee of sponsoring organization of the treadway comimssion).

თავდაპირველად ხდება იდენტიფიცირება თუ რა სახის რისკთან გვაქვს საქმე ამის მიხედვით ხორციელდება შემდგომი ღონისძიებები. რისკების კლასიფიკაცია სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვითაა შესაძლებელი. მაგალითად ჰოპკინსი თავდაპირველად 3 ნაწილად აჯგუფებს რისკებს, სახიფათო რისკებად(hazard risks); მართვად რისკებად(control risks); შესაძლებლობის მომცემი რისკებად(opportunity risks). სახიფათო რისკები ხელს უშლის ორგანიზაციის მისიის შესრულებას, როგორც წესი ესაა გარდაუვალი რისკები როგორცაა, ხანძარი, შტორმი და ა.შ. მართვადი რისკები ისეთი რისკებია, რომლებიც ეჭვ ქვეშ აყენებს ორგანიზაციის მისიის შესრულების უნარს, ორგანიზაციები ახდენენ ასეთი რისკების მართვას სხვადასხვა საშუალებებით. შესაძლებლობის მომცემ რისკებს ორგანიზაცია გამიზნულად ეძებს რათა გააუმჯობესოს მისიის მიღწევის შედეგი, თუმცა შესაძლოა მისიის შესრულების პროცესი შეფერხდეს თუ შედეგი უარყოფითია მაგალითად ასეთი რისკია ბიზნეს რისკი. (Hopkin, 2010). დროის მიხედვით გამოყოფენ მოკლევადიან, საშუალოვადიან და გრძელვადიან რისკებს (ნარმანია,2016). აგრეთვე რისკების კლასიფიკაციას იძლევა COSO, BS31100, PESTEL, Firm risk Scorecard, Firm- სისტემები.

სისტემურ და არასისტემურ ნაწილებად ყოფენ რისკებს. არასისტემურში მოიაზრება ისეთი რისკები, რომელიც რომელიმე ბიზნესზე დარგზე ან ინდუსტიაზე ზემოქმედებს (ბიზნეს რისკები, ლიკვიდურობის რისკი გაკოტრების რისკი, ფინანსური რისკი). სისტემური რისკები კი ზეგავლენას ყველანაირი ბიზნესა თუ დარგზე ახდენს(საბაზრო რისკები; საპროცენტო განაკვეთის ცვლის რისკი, კონკურენციის რისკი) (Ghosh, 2013).

რადგან ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ბიზნეს რისკები, ჰოპინის აზრით კი ბიზნეს რისკები შესაძლებლობის მომცემი რისკებია. ცოტა ღრმად საჭიროებს კვლევას აღნიშნული მიმართულება, თუ რა არის ბიზნეს რისკი? რა სახეობები არსებობს ბიზნეს რისკებისა და როგორ ხდება მათზე ზემოქმედება?

ბიზნეს რისკი - ესაა ისეთი ფაქტორების ზემოქმედება ბიზნესზე ან ორგანიზაციაზე, რომელიც ამცირებს მოგებას ან იწვევს კომპანიის გაკოტრებას (Kenton, 2019). ბიზნეს რისკების კლასიფიცირებას თუ საიდან მომდინარეობს (წარმოშობის წყარო) ახდენენ:

- შინაგან რისკებად
- გარეგან რისკებად (Ghosh, 2013)


შემდეგ აღნიშნული რისკები კიდევ შეიძლება დაიყოს თავისი სპეციფიკის მიხედვით:

- ✓ ეკონომიკური რისკი- ეკონომიკა მუდმივად განიცდის ცვლილებას ისევე როგორც ცვლილებას განიცდიან ბაზრები. ზოგიერთი ცვლილება დადებითია ეკონომიკისათვის, რომელიც ხელს უწყობს სავაჭრო ბუმს, მაშინ როცა უარყოფითი მოვლენები ამცირებს გაყიდვებს. ამიტომ მნიშვნელოვანია ცვლილებებზე თვალყურის დევნება, პოტენციური ეკონომიკური დაღმასვლის იდენტიფიცირება და შესაამისი ანტიკრიზისული გეგმის შედგენა.

- ✓ შესაბამისობის რისკი- ბიზნესები კანონებისა და წესების სიმრავლის წინაშე დგანან რამაც შეიძლება გაურკვეველობა გამოიწვიოს, მაგალითად მონაცემთა დამუშავების შესახებ კანონმა შეიძლება შეაფერხოს ბიზნეს საოპერაციო საქმიანობა.
- ✓ უსაფრთხოება და თაღლითობის რისკი- პირველ რიგში რაც მეტი ადამიანი იყენებს მობილურ ტელეფონსა და ინტერნეტს, აზიარებს სხვადასხვა საიტებზე პერსონალურ მონაცემს იზრდება შესაძლებლობა მოიპატონ მათი პირადი მონაცემები. სხვა კომპანიამ ან დაჯგუფებამ გამოიყენოს კომპანიის სახელი არაკანონიერი ქმედებებისთვის. თაღლითობას სხვადასხვა ფორმა აქვს თუმცა ბოლო დროს იზრდება პირადი მონაცემის ქურდობისა რისკი.
- ✓ ფინანსური რისკი- ისეთი სახის რისკია რომელიც გულისხმობს ორგანიზაციის სეხით დატვირთვასთან დაკავშირებულ ზიანს. აგრეთვე საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა წარმოადგენს საფრთხეს.
- ✓ რეპუტაციული რისკი-ყოველთვის არსებობდა რისკი უკმაყოფილო მომხარებლის, პროდუქციის ჩავარდნის, ნეგატიური ინფორმაციისა პრესაში, სასამართლო პროცეი რომელმაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს კომპანიის იმიჯზე.
- ✓ ოპერაციული რისკი- შესაძლებელია მოხდეს გაუთვალისწინებელი მოვლენები რამაც ხელი შეუშალოს ბიზნეს საქმიანობის გაგრძელებას მაგალითად ხანძარი, მისი მეშვეობით შესაძლოა საფრთხე შეექმნას ბიზნესის ფიზიკურ არსებობას. თანამშრომლის შედომა რომლის გამოსწორებას სჭირდება დრო და ფინანსური რესურსი.
- ✓ კონკურენტული რისკი- მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესმენმა იცის გამუდმებული კონკურენციის შესახებ მას შესაძლოა მხდევლობიდან გამორჩეს ახალი ბიზნესი, ბიზნეს შეთავაზება რომელიც მიიზიდან ძველ მომხმარებელს. (Boitnott, 2019)

რისკების მართვის შესწავლა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. რისკების მართვა დიდი ხანია ასოცირდება საბაზრო დაზღვევის გამოყენებასთან, რათა დაიცვას პირები და კომპანიები სხვადასხვა სახის ზარალისგან. 1914 წელს აშშ-ში შეიქმნა რობერტ მორისის რისკების მართვის ასოციაცია კრედიტებისა და სესხის ოფიცრების მიერ ფილადელფიაში. რისკების მართვის სხვადასხვა ფორმები, საბაზრო დაზღვევის ალტერნატივები წარმოიშვა 1950-იან წლებში, მაშინ საბაზრო დაზღვევა აღიქმებოდა, როგორც ძალიან ძვირი და არასრულფასოვანი საშუალება წმინდა რისკებისგან დასაცავად. 1970-იანი წლებიდან დაიწყო დერივატივების გამოყენება, როგორც რისკის მართვის ინსტრუმენტი იგი სწრაფად გაფართოვდა 1980-იან წლებში ამის მიზეზი კი იყო კომპანიების მხრიდან ფინანსური რისკ მენეჯმენტის გაძლიერება. საერთაშორისო რისკების რეგულირება დაიწყო 1980-იანი წლებიდან, ხოლო ფინანსურმა ფორმებმა შეიმუშავეს რისკის მართვის შიდა მოდელები და კაპიტალის გაანგარიშების ფორმულები, რათა დაეცვათ თავი მოულოდნელი რისკებისგან და შეემცირებინათ მარეგულირებელი კაპიტალი. ამასთან მნიშვნელოვანი გახდა რისკ მენეჯმენტის მართვა, მოხდა რისკების ინტეგრირება მენეჯმენტში და შეიქმნა რისკის მართვის მთავარი ოფიცრის პოზიცია. (Dionne, 2013)

რადგან გარემო ცვალებადია და რისკს შეუძლია დამღუპველი ზიანი მოუტანოს ორგანიზაციას, მნიშვნელოვანი საკითხი, რაც უნდა განვიხილოთ რისკების კვლევისას არის ის თუ როგორია რისკების მართვის მოდელი, რა საშუალებები არსებობს მეცნიერულად მიღებული და პრაქტიკაში გამოცდილი, რომელსაც პრაქტიკაში იყენებენ კომპანიები და წარმატებულ ბიზნეს-სკოლებში ასწავლიან. სწორედ ასეთია რისკების მართვის ეგრეთ წოდებული 7Rs და 4Ts მოდელი:



(ნარმანია, რისკ-მენეჯმენტი ბიზნესში, 2016, გვ. 162)

პირველ რიგში ხდება რისკების იდენტიფიცირება (Recognition of risks), რისკის ბუნების და იმ გარემოს ანალიზი, სადაც შესაძლოა რისკი განხორციელდეს (მატერიალიზდეს).

მეორე ეტაპია რისკების დახარისხება, ზეგავლენის მოხდენისა და ალბათობის მიხედვით იმისათვის რომ განისაზღვროს რისკის პორთფელი, რისკის ჩანაწერები.

მესამე ნაბიჯი არის, რეაგირება მნიშვნელოვან რისკებზე, ეს უკანასკნელი არის სწორედ 4T შესაბამისი ღონისძიებების გატარების მოდელი. რისკებზე რეაგირება შესაძლებელია 4 გზით:

- ტოლერანტობა(Tolerate)- გამოიყენება ისეთ რისკებზე ზემოქმედებისთვის, რომლის შემსუბუქება, სხვა რისკად გადაქცევა შეუძლებელია ან იმ შემთხვევაში როცა რისკის შეწყვეტა უფრო მეტი ზიანის მომტანია.
- ზემოქმედება(Treat)-აღნიშნული მეთოდი გამოიყენება ისეთ რისკებთან რომლების შემსუბუქება შესაძლებელია რაიმე ღონისძიებით
- გადაცემა (Transfer)- იმ შემთხვევაში თუ კონკრეტული რისკი დიდ ზიანს აყენებს ორგანიზაციას და შეუძლებელია მისი შემსუბუქება ორგანიზაცია იღებს გადაწყვეტილებას მიიღოს ერთი სახის რისკი მეორეს სანაცვლოთ
- შეწყვეტა (Terminate)- შეწყვეტა გულისხმობს კონკრეტული საქმიანობის სრულად გაუქმებას.

მეოთხე ეტაპზე ხდება რესურსების კონტროლის უზრუნველყოფა რათა შესაბამისად დაიგეგმოს კონტროლისთვის საჭირო აქტივობები და შენარჩუნდეს.

მეხუთე ნაბიჯი ესაა რეაქციის ან/და შემთხვევათა მართვა, სახიფათო რისკისთვის იგი აერთიანებს ზიანის აღდგენას ან ბიზნეს საქმიანობის უწყვეტად გაგრძელებას.

რისკების მართვის მეექვსე საფეხური ესაა რისკებზე ზემოქმედების ღონისძიებებისა და მოვლენების შესახებ ანგარიშგება და მონიტორინგი. კომუნიკაცია რისკთან დაკავშირებულ საკითხებზე, ორგანიზაციის რისკის საკითხებზე ორგანიზაციაში არსებული რისკის არქიტექტურის შესაბამისად.

მეშვიდე, ბოლო ეტაპზე რისკ მენეჯმენტის სისტემის გადახედვა/გადასინჯვა მიმდინარეობს შიდა აუდიტის პროცედურების ჩართვით, რისკის სტრუქტურის განხილვა განახლების შესახებ აგრეთვე სტრატეგიისა და პროტოკოლის შემუშავებით. (ნარმანია, 2016)

რისკების მართვისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს პრინციპები რათა ბიზნეს საქმიანობას ხელი არ შეეშალოს, აგრეთვე როგორც გეგმა აგრეთვე მისი პრაქტიკაში დანერგვა იყოს ეფექტიანი. ●პროპორციულობის, ●შესაბამისობის ●ყოვლისმომცველობის, ●დანერგვისა და ●დინამიურობის პრინციპების

მნიშვნელობას უსვამს ხაზს ჰოპკინი¹. პროპორციულობა გულისხმობს რომ რისკების მართვისას რესურსები რისკის დონეს უნდა შეესაბამებოდეს. მეორე პრინციპის თანახმად რისკის მართვასთან დაკავშირებული ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაციის სხვა აქტივობებს. ყოვლისმომცველობა გულისხმობს, რომ დაგეგმილი ღონისძიებები იყოს სისტემური, შემდეგ ეტაპზე საჭიროა, რომ დაგეგმილი ღონისძიებები წარმატებით დაინერგოს. დინამიურობის პრინციპი ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელ ცვალებად გარემოში რათა რისკ მენეჯმენტის აქტივობები შეიცვალოს ახალი გამოწვევების შესაბამისად.

საკითხი რისკების მართვის პრინციპების სწორ ფორმირებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ამიტომ არაერთი დიდი ორგანიზაცია მუშაობდა საკითხის დამუშავებაზე, ISO 31000 გვთავაზობს 11 პრინციპს რისკების მართვისას. ეს უკანასკნელი(ISO 31000) ორგანიზებულია სწორედ აღნიშნული პრინციპების გარშემო.

იგი არის სახელმძღვანელო, მეთოდი, ლოგიკა, დიზაინი და იმპლემენტაცია რისკ მენეჯმენტისა ჩარჩოსა და პროცესის.

ISO 31000 არ ახდენს იმის სპეციფიკაციას თუ როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნეს პრინციპები რისკის მართვის პროცესის, განხორციელების და უზრუნველსაყოფად. იგი მიიჩნევს, რომ ორგანიზაციამ უნდა გამოიყენოს აღნიშნული პრინციპები ორგანიზაციის კონტექსტის შესაბამისად. აღნიშნულ სტანდარტს ორგანიზაციები იყენებენ, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტს და იგი მიესადაგება ყველა ორგანიზაციას ნებისმიერი საქონლისა თუ მომსახურების შემთხვევაში:

- ✓ რისკ მენეჯმენტი ადგენს და ინარჩუნებს მნიშვნელობას;

¹ Hopkin, P. (2010). Fundamentals of risk management . In Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK (p. 47). London: Kogan Page Limited.

- ✓ რისკების მართვა არის განუყოფელი ნაწილი ყველა ორგანიზაციული პროცესისა;
- ✓ რისკების მართვა არის გადაწყვეტილებების მიღების ნაწილი;
- ✓ რისკების მართვა პირდაპირ ითვალისწინებს გაურკვეველობას;
- ✓ რისკების მართვა არის სისტემური, სტრუქტურირებული და დროული;
- ✓ რისკების მართვა ეყრდნობა არსებულ საუკეთესო ინფორმაციას;
- ✓ რისკების მართვა შესაბამისია(მორგებულია ორგანიზაციას);
- ✓ რისკების მართვა ითვალისწინებს ადამიანურ და კულტურულ ფაქტორებს;
- ✓ რისკების მართვა არის გამჭვირვალე და ინკლუზიური;
- ✓ რისკების მართვა არის დინამიური, განმეორებითი და რეაგირებს ცვლილებებზე;
- ✓ რისკების მართვა ხელს უწყობს ორგანიზაციის მუდმივ გაუმჯობესებას.
(Hutchins, 2019).

აღნიშნული პრინციპების ეფექტიანი ფუნქციონირება დამოკიდებულია მათ სწორად დანერგვაზე და შესაბამისად განხორციელებაზე ორგანიზაციაში.

გარდა რისკების მართვის პროცესისა და პრინციპებისა საკითხს, რომელსაც მეცნიერები და კვალიფიციური ორგანიზაციები ყურადღებას აქცევენ რისკების მართვისას ესაა რისკების მართვის ჩარჩო:

- რისკ-მენეჯმენტის არქიტექტურა;
- რისკის მართვის სტრატეგია ;
- რისკის მართვის პროტოკოლი;

რისკის-მენეჯმენტის არქიტექტურა გულისხმობს კომიტეტის სტრუქტურასა და სამუშაო აღწერილობას, როლებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილებას, შიდა და გარე კონტროლის ანგარიშგების არსებობას, რისკის მართვის ღონისძიებები უზრუნველყოფას.

რისკების მართვის სტრატეგია მოიცავს რისკების მართვის ფილოსოფიას, რისკების მართვის დანერგვის უზრუნველყოფას, რისკისადმი მიდრეკილებასა და დამოკიდებულებას, ბეიჩმარკინგის-ტესტს რისკის მნიშვნელობის დონის დასადგენად, სპეციფიური რისკების პოლიტიკას, რისკების შეფასების ტექნიკას, რისკის მართვის პრიორიტეტულობას.

რისკის მართვის პროტოკოლი მნიშვნელოვანი ჩარჩო-კომპონენტი ერთ-ერთი საყურადღებო ნაწილია აქ თავს იყრის ინსტრუმენტები და ტექნიკა, რისკის კლასიფიკაციის სისტემა, რისკის შეფასების პროცედურები, რისკების კონტროლის პრინციპები, პროცედურები, ინციდენტებზე რეაგირება პრობლემები და შემთხვევები, დოკუმენტები და ჩანაწერების წარმოება, ტრენინგი და კომუნიკაცია, აუდიტის პროცედურები, ანგარიშგება, აღმოჩენები. ეს ყოველივე საჭიროა რათა შეიქმნას ერთგვარი დაარქივებული ისტორია, პრაქტიკისა თუ რა ღონისძიებები გატარდა როდის, რა იყო წარმატებისა თუ წარუმატებლობის მიზეზი, ამ ფაქტების გათვალისწინებამ შესაძლოა მომავალში წარმატება მოუტანოს ორგანიზაციას რიკებთან გამკლავებაში დაიზოგოს დროითი და ფინანსური რესურსები. (ნარმანია, 2016)

დღევანდელი სწრაფად ცვალებადი გარემო პირობების გათვალისწინებით ირგვლივ ძალიან ბევრი პროცესი მიმდინარეობს, მათი უმრავლესობა მოულოდნელია. მოულოდნელი პროცესები ქმნის განუსაზღვრელობებს, ისეთ მოვლენებს რომელთა ზემოქმედების ზუსტი შედეგი ორგანიზაციაზე ბუნდოვანია. ზემოთ ხსენებული მეთოდები რისკების მართვის საკმაოდ ბევრი დეტალის გათვალისწინებას მოითხოვს მნიშვნელოვან ყურადღებას საჭიროებს რისკების მართვის ორგანიზაციაში დანერგვა განსაკუთრებით მაშინ თუ-კი საქმე დიდ ორგანიზაციას ეხება, ამიტომ დიდ ორგანიზაციებში არსებობს რისკების მართვის სამსახურები და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი მენეჯმენტში არის სწორედ რისკების მართვის მენეჯერი. ორგანიზაციებში არსებობს რისკების მართვის

სამსახურები და სხვადასხვა კომპანიები კონკრეტულად რისკების მართვის მიმართულებით სპეციალიზდებიან.

გარდა კომპანიის შიდა სისტემური მართვისა დღეს უკვე არსებობს საკანონმდებლო რეგულაცია, რომელიც მაგალითად საქართველოში განსხვავდება დარგის მიხედვით.

საკითხის დამუშავების დონე

თაღლითობა არის ნებისმიერი განზრახული ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც შექმნილა სხვების მოტყუების მიზნით, რის შედეგად მსხვერპლი განიცდის ზარალს ან/და დამნაშავე იღებს სარგებელს (COSO, Fraud risk management guide, 2016).

თაღლითობა, კანონით, ფაქტის მიზანმიმართულად არასწორი რეპრეზენტაცია, ვინმეს ძვირფასი საკუთრების ჩამორთმევის მიზნით მიუხედავად იმისა, რომ თაღლითობა ზოგჯერ თავისთავად დანაშაულია, უფრო ხშირად ეს დანაშაულის ელემენტია, მაგალითად, ფულის მოპოვება ცრუ საბაბით ან შეთქმულების გზით (Britannica).

ჯერ კიდევ ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 300 წლის ცნობები არსებობს თაღლითობის ფაქტთან დაკავშირებით, ბერძენი მოვაჭრის, ჰეგესტრატოს შესახებ, რომელმაც აიღო დაზღვევა, რომელიც გემის გირავნობას გულისხობდა ფულის სანაცვლოდ და თუ გემი ჩაიძირებოდა სესხის გადახდისგან თავისუფლდებოდა დაზღვევის მფლობელი, თუ გადარჩებოდა გამსესხებელი მიიღებდა ძირ თანხას და პროცენტს პროდუქციის რეალიზაციის შემდეგ. იმ შემთხვევაში თუ მსესხებელი უარს იტოვდა თანხის დაბრუნებაზე გამსესხებელი დაიტოვებდა გემს ტვირთიანად. ჰეგესტრატოსმა გადაწყვიტა ჩაეძირა ცარიელი გემი, ამით დაიტოვებდა სესხსაც და აგრეთვე გაყიდული პროდუქციიდან შემოსავალს. თუმცა მას გეგმა ჩაეშალა (Cunningham, 2015).

ამერიკაში არსებობს თაღლითური საქმიანობის მუზეუმი(Fraud museum)², რომელიც შექმნილია თაღლითობის წინააღმდეგ მებრძოლი მსოფლიოში უდიდესი ორგანიზაციის(ACFE) მიერ 1864 წელს. მუზეუმში დამთვალიერებელს შეუძლია იხილოს ცნობილი და გახმაურებული თაღლითობის შესახებ ისტორიული ცნობები ფოტოსურათებით. ერთ-ერთი ასეთია მაგალითად ერთ-ერთი პირველი ფინანსური თაღლითობა რომელიც ჩაიდინა სამხრეთ ზღვის კომპანიამ(South Sea Company)1711-1727 თითქმის დეფოლტი გამოიწვია.1719 წელს კომპანიამ შესთავაზა სქემა რომლის მიხედვითაც იგი აიღებდა გაერთიანებული სამეფოს მთელს ეროვნულ დავალიანებას სახელმწიფო ობლიგაციების სანაცვლოდ. თაღლითური ჩარევით ობლიგაციების ფასი ერთეულ ობლიგაციაზე გაიზარდა 128 ფუნტიდან და გადააჭარბა 1000 ფუნტს კომპანია დაიშალა რამაც გამოიწვია ათასობით ინვესტორის ფინანსური ზარალი და მათ შორის აღმოჩნდნენ პარლამენტარებიც (ACFE A. o.).

როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ თაღლითობას ადრეული საუკუნეებიდან ებრძოდნენ, მას შემდეგ კი რას შეიქმნა დიდი რისკის ცნება და თაღლითობა ერთ-ერთ რისკის სახეობად კლასიფიცირდა, მაგალითად, თენგიზ ვერულავა თავის ნაშრომში „რისკის მართვა“ რისკების კლასიფიკაციისას უკანანო რიკების ჯგუფში აერთიანებს თაღლითობის რისკს (ვერულავა, 2013). მეცნიერები მუშაობენ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორცაა თაღლითური რისკის მართვა მცირე ბიზნესის მიმართულებით, ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია ძლიერი მცირე ბიზნესის არსებობა ქვეყანაში, მეცნიერთა ჯგუფი ხაზს უსვამს, რომ მცირე ბიზნესისათვის დიდი გამოწვევაა თაღლითური ბიზნეს რისკის მართვა. ფინანსური დამაბულობა, სწრაფი ზრდა, რესურსებისა და საჭირო ცოდნის სიმცირე კარგი საშუალებაა მოტივირებული თაღლითებისთვის ისარგებლონ მცირე ბიზნესის სისუსტეებით. სინსინატის უნივერსიტეტის 2014 წლის კვლევის მიხედვით მცირე

² https://www.acfe.com/uploadedFiles/ACFE_Website/Content/documents/fraud-museum.pdf. (08.06.2020)

ბიზნესის 64%³ გახდა თაღლითობის მსხვერპლი. აგრეთვე თანამედროვე კვლევების შესაბამისად კომპანიები ყოველწლიურად კარგავენ თავიანთი შემოსავლის დაახლოებით 5%⁴, ხოლო თაღლითობა მცირე ბიზნესის წარუმატებლობის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია სტრატეგიების შემუშავება, რომელიც დაეხმარება და ხელმისაწვდომი იქნება მცირე ბიზნესისათვის თაღლითობასთან საბრძოლველად (Megan F.HessaJames H.CottrellJr.b, 2016). აღსანიშნავია, რომ თაღლითობის მთლიანი ღირებულება მხოლოდ ფულად ერთეულში ვერ გაიზომება, იგი ემოციურ ზიანს აყენებს მსხვერპლს, რაც ამცირებს შრომით პროდუქტიულობას.

საქართველოში ზუსტი სტატისტიკა თაღლითობის შედეგად დაზარალებული ბიზნესების შესახებ არ არსებობს, თუმცა არსებობს სტატისტიკა რომლის მიხედვითაც ქვეყანაში 775 097 რეგისტრირებული სუბიექტიდან აქტიური მხოლოდ 184 633 (23,8%)⁵, სხვა მნიშვნელოვან ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან ერთად თაღლითობასთან დაკავშირებული საფრთხეებიც მნიშვნელოვანია აღნიშნულ შემთხვევაში.

ორგანიზაციები 5%⁶-ს თავისი შემოსავლებისას კარგავენ ყოველწლიურად თაღლითობით ამიტომ აშკარა გახდა ძლიერი პოზიციისა და პროაქტიული, ყოვლისმომცველი მიდგომის აუცილებლობა. რადგან კომპანიები ზრდიან თავიანთ ყურადღებას რისკზე მათ უნდა მიიღონ გააუმჯობესონ ზომები თაღლითობის

³ Kennedy, Jay P. (2014). From apathy to disdain: Why smallbusinesses refuse to call the police when employee theftoccurs. Presentation at the Annual Meeting of the CriminalJustice Sciences, February 18-22, Philadelphia, PA. Additionalinformation at <http://www.uc.edu/news/NR.aspx?id=19231>. (08.06.2020)

⁴ Association of Certified Fraud Examiners. (n.d.). ACFE reportestimates organizations worldwide lose 5 percent of revenuesto fraud. Retrieved from <https://www.acfe.com/press-release.aspx?id=4294973129>. (08.02.2020)

⁵ სამსახური, ს. ს. (2020 წლის 1 აპრილი). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მოპოვებული www.geostat.ge: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/67/organizatsiul-samartlebrivi-formebis-mikhedvit> (26.06.2020)

⁶ ACFE, A. o. (n.d.). ACFE Fraud Museum. Retrieved from www.acfe.com: https://www.acfe.com/uploadedFiles/ACFE_Website/Content/documents/fraud-museum.pdf

გამოვლენის, აღკვეთისა და პროფილაქტიკისათვის. ACFE-ის მიხედვით მნიშვნელოვანია თაღლითურ რისკ მენეჯმენტში გათვალისწინებული იყოს შემდეგი საკვანძო საკითხები:

- ✓ თაღლითური რისკის იდენტიფიცირება, შეფასება და მართვა ყველა წყაროდან;
- ✓ თაღლითობის რისკის მართვის ინიციატივების მხარდაჭერა თაღლითობის საწინააღმდეგო კულტურის დამკვიდრებით და თაღლითობის შესახებ ცნობიერების ამაღლების გზით მთელ ორგანიზაციაში;
- ✓ შიდა კონტროლის სისტემის შემუშავება, ორგანიზაციაში თაღლითობის რისკის გადასაჭრელად;
- ✓ აღმოჩენა და შესაბამისი საპასუხო ქმედების განხორციელება თაღლითობის ნებისმიერ იდენტიფიცირებულ შემთხვევაზე. (ACFE, 2020).

თაღლითობის რისკისა და მასთან ბრძოლის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს რისკების მართვის საერთაშორისო ორგანიზაცია COSO. ყველა ორგანიზაცია ექვემდებარება თაღლითობის რისკს, შეუძლებელია ნებისმიერი თაღლითობის აღმოფხვრა ყველა ორგანიზაციაში. თუმცა ზოგიერთი პრინციპის გათვალისწინება, აუცილებელია, რომელსაც შეუძლია პრევენცია მოახდინოს ან მაქსიმალურად მოკლე დროში გამოავლინოს და შეიქმნას ძლიერი თაღლითობის შემაფერხებელი ეფექტი. დირექტორთა საბჭო და ხელმძღვანელი პირები, პერსონალი ორგანიზაციის ყველა დონის მენეჯერის ჩათვლით შიდა აუდიტორები პასუხისმგებელი არიან რისკის მართვაზე. კერძოდ მოსალოდნელია, რომ მათ გააზრებული აქვთ, თუ როგორ რეაგირებს ორგანიზაცია გაზრდილ რისკებსა და რეგულაციებზე, აგრეთვე ისინი თანამშრომლები ახდენენ საზოგადოებისა და დაინტერესებული მხარეების შემოწმებას, იციან თუ თაღლითობის რისკის მართვის რა ფორმა აქვს ორგანიზაციას,

როგორ განსაზღვრავს თაღლითობის რისკს, რაც აკეთებს თაღლითობის თავიდან ასაცილებლად ან სულ მცირე თაღლითობის ადრე იდენტიფიცირების მიზნით რა ღონისძიებებს ატარებს. კიდევ ერთი საკითხია თუ რა ღონისძიებები ტარდება თაღლითობის გამოძიებისა და გამოსწორების მიზნით. თაღლითობის აღკვეთა არის ფაქტორების აღმოფხვრის პროცესი, რომლებმაც შესაძლებელია გამოიწვიოს თაღლითობა. შეკავება მიიღწევა იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ნერგავს თაღლითობასთან გამკვლავების მართვის პროცესს:

- ადგენს თვალსაჩინო და მკაცრ თაღლითობის მართვის პროცესს;
- პერიოდულად ახდენს თაღლითობის რისკის სრულფასოვან შეფასებას;
- ქმნის გამჭვირვალე და საპასუხო ანტი-თაღლითურ კულტურას;
- შეიმუშავებს, ახორციელებს და ინარჩუნებს თაღლითობის კონტროლის პროფილაქტიკურ და დეტექტიურ პროცესებსა და პროცედურებს;
- სწრაფად მოქმედებს თაღლითობის საპასუხოდ.

თითოეულ ორგანიზაციას სჭირდება შეაფასოს თანხმობის ხარისხი, რათა მოხდეს თაღლითური რისკ-მენეჯმენტის მართვა მისი ზომისა და გარემოებების შესაბამისად.

COSO-მ დაამუშავა 1992 წელს შექმნილი თაღლითური რისკის მართვის 5 კომპონენტი და მასთან ინტეგრირებით 2013 წელს შექმნა 17 შიდა კონტროლის პრინციპი. აგრეთვე მოგვცა მათ შორის კორელაციის სქემა:

COSO-ს ჩარჩო კომპონენტები და პრინციპები		თაღლითური რისკ მენეჯმენტის პრინციპები
1. გარე კონტროლი	1. ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას პატიოსნებასა და ეთიკურ ღირებულებებზე	1. ორგანიზაცია ნერგავს და ატარებს თაღლითობის რისკის მართვის პროგრამას რომელშიც ასახულია სამეთვალყურეო საბჭოსა და ზედა რგოლის მენეჯმენტის მოლოდინი მათ პატიოსნებისა და ეთიკური ფასეულობების მიმართ თაღლითობის რისკის მართვის საკითხებთან
	2. დირექტორთა საბჭო დამოუკიდებელია მენეჯმენტისგან და ზედამხედველობას ახორციელებს შიდა კონტროლის შესრულება-განვითარებაზე	
	3. მენეჯმენტი ახდენს საბჭოს ზედამხედველობით სტრუქტურებს, საანგარიშო ხაზებს, შესაბამის უფლებამოსილებებსა და პასუხისმგებლობებს ამოცანებს შისასაროოიზოაო	
23		

4. კომპანია იღებს ვალდებულებას მოიზიდოს განავითაროს და შეინარჩუნოს კომპეტენტური პირები ორგანიზაციული მიზნების მისაღწევად
5. ორგანიზაცია ახორციელებს ინდივიდუალურ აღრიცხვას თავიანთი შიდა კონტროლოს პასუხისმგებლობისათვის საბოლოო მიზნის მისაღწევად

COSO-ს ჩარჩო კომპონენტები და პრინციპები		თაღლითური რისკ მენეჯმენტის პრინციპები
2. რისკის შეფასება	6. ორგანიზაცია განსაზღვრავს ამოცანებს სათანადო სიცხადით, რათა მოხდეს ამოცანებთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიკაცია და შეფასება.	2. ორგანიზაცია ახორციელებს თაღლითობის რისკის ყოვლისმომცველ შეფასებას, რათა განისაზღვროს თაღლითობის სპეციფიკური სქემები და რისკები, აფასებს მათ მოხდენის ალბათობას და ნიშანდობლიობას, აგრეთვე აფასებს არსებული თაღლითობის კონტროლის ღონისძიებებს და ნერგავს ქმედებებს დარჩენილი თაღლითობის რისკის
	7. ორგანიზაცია განსაზღვრავს რისკებს საკუთარი ამოცანების შესრულებასთან მიმართებაში და აანალიზებს მას როგორც საფუძველს იმისა თუ როგორ უნდა მოხდეს რისკის მართვა.	
	8. ორგანიზაცია ითვალისწინებს თაღლითობის პოტენციალს რისკების შეფასებაში ამოცანების შესრულებისას.	
	9. ორგანიზაცია განსაზღვრავს და აფასებს ცვლილებებს, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შიდა კონტროლის სისტემაზე	
3. კონტროლის აქტივობები	10. ორგანიზაციები ირჩევენ და ავითარებენ კონტროლის აქტივობებს, რათა შემცირდეს რისკი ამოცანის შესასრულებლად შესაბამის დონეზე.	3. ორგანიზაცია ირჩევს, ავითარებს და ატარებს თაღლითობის კონტროლის პროფილაქტიკური და დეტექტიური მოქმედებებს, რათა მოხდეს თაღლითობის მოვლენების რისკის შემცირება დროულად.
	11. ორგანიზაციები ირჩევენ და ავითარებენ ზოგადი კონტროლის მექანიზმებს ტექნოლოგიებზე მიზნის მისაღწევად.	
	12. ორგანიზაცია ახდენს კონტროლს პოლიტის მეშვეობით, რომელიც დაფუძნებულია მოლოდინსა და პროცედურებზე რაც პოლიტიკას გარდაქმნის მოქმედებად.	


COSO-ს ჩარჩო კომპონენტები და პრინციპები		თაღლითური რისკ მენეჯმენტის პრინციპები
4. ინფორმაცია და კომუნიკაცია	13. ორგანიზაცია მოიპოვებს ან გამოიმუშავებს და იყენებს შესაბამის, ხარისხობრივ ინფორმაციას შიდა კონტროლის სხვა კომპონენტების ფუნქციონირების მხარდასაჭერად.	4. ორგანიზაცია ადგენს კომუნიკაციის პროცესს პოტენციური თაღლითობის შესახებ ინფორმაციის მისაღებად და ნერგავს გამოძიების კოორდინირებულ მიდგომას და მაკორექტირებელ მოქმედებებს, რათა მოხდეს თაღლითობის სათანადო და დროულად მოგვარება.
	14. ორგანიზაცია შინაგან კომუნიკაციით იძლევა ინფორმაციას, მათ შორის შიდა კონტროლის მიზნებსა და პასუხისმგებლობებზე, რომლებიც აუცილებელია შიდა კონტროლის ფუნქციონირების გასამლიერებლად.	
	15. ორგანიზაცია ურთიერთობას ახდენს საგარეო მხარესთან იმ საკითხების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს შიდა კონტროლის სხვა კომპონენტების ფუნქციონირებაზე	
5. მონიტორინგის ღონისძიებები	16. ორგანიზაცია ირჩევს, ანვითარებს და ახორციელებს მიმდინარე ან / და ცალკეულ შეფასებებს იმის დასადგენად, არის თუ არა შინაგანი კონტროლის კომპონენტები.	15. ორგანიზაცია ირჩევს, შეიმუშავებს და ახორციელებს მიმდინარე შეფასებებს იმის დასადგენად, არის თუ არა თაღლითობის რისკის მართვის თითოეული პრინციპი, რომელიც ფუნქციონირებს და დროულად აკავშირებს თაღლითობის რისკის მართვის პროგრამის დეფიციტს დროულად აცნობებს მხარეებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მაკორექტირებელი მოქმედების განხორციელებაზე, მათ შორის უფროსი მენეჯმენტისა და დირექტორთა საბჭოს.
	17. ორგანიზაცია დროულად აფასებს და აცნობებს შინაგან კონტროლის სტანდარტებს იმ მხარეებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მაკორექტირებელი ზომების მიღებაზე, მათ შორის უფროსი მენეჯმენტისა და დირექტორთა საბჭოს, საჭიროებისამებრ.	

COSO, C. o. (2016). *Fraud risk management guide*. მოპოვებული www.coso.org:

<https://www.coso.org/documents/COSO-Fraud-Risk-Management-Guide-Executive-Summary.pdf>-დან

თაღლითობის რისკის შეფასება არის დინამიური და განმეორებითი პროცესი ორგანიზაციისთვის თაღლითობის რისკების დადგენისა და შეფასების მიზნით. თაღლითობის რისკის შეფასება ეხება თაღლითური ფინანსური ანგარიშგების, თაღლითური არასამთავრობო ფინანსური ანგარიშგების, აქტივების მითვისების და უკანონო ქმედებების რისკს (კორუფციის ჩათვლით). ორგანიზაციებს შეუძლიათ ამ მიდგომის მორგება საკუთარი ინდივიდუალური საჭიროებების, სირთულეების და მიზნების დასაკმაყოფილებლად. თაღლითობის რისკის შეფასება არა მხოლოდ რისკების შეფასებისა და შიდა კონტროლის ინტეგრალური კომპონენტია, არამედ ის სპეციფიკურად არის დაკავშირებული 2013 წლის COSO ჩარჩოს პრინციპთან. თაღლითობის კონტროლის ღონისძიებები, ძირითადად, კლასიფიცირდება როგორც პრევენციული (შექმნილია თავიდან აცილების მიზნით, თაღლითური მოვლენის ან გარიგების თავიდან ასაცილებლად) ან დეტექტიური (მიზნად ისახავს თაღლითური მოვლენის ან გარიგების აღმოჩენას მას შემდეგ, რაც მოხდა პირველადი დამუშავება). თაღლითობის პრევენციული და თაღლითობის დეტექტივის კონტროლის ღონისძიებების შერჩევა, განვითარება, განხორციელება და მონიტორინგი თაღლითობის რისკის მართვის მნიშვნელოვანი ელემენტებია. თაღლითობის კონტროლის აქტივობებია, შინაგან კონტროლის, მიმდინარე თაღლითობის რისკის შეფასების კომპონენტის განუყოფელია. თაღლითობის გამოძიებისა და მაკორექტირებელი მოქმედებების კონტროლის ღონისძიებები ვერ უზრუნველყოფენ აბსოლუტურ გარანტიას თაღლითობისგან. შედეგად, ორგანიზაციის მმართველი საბჭო უზრუნველყოფს, რომ ორგანიზაცია შეიმუშავებს და ახორციელებს სისტემას დაუყოვნებლივი, კომპეტენტური და აუცილებელი გადახედვას, გამოძიების შეუსრულებლობის შემთხვევების გადაწყვეტის მიზნით და ბრალდებას თაღლითობისა და არასათანადო ქმედებებთან დაკავშირებით. ორგანიზაციას შეუძლია გაზარდოს ზარალის აღდგენის შანსი, ხოლო მინიმუმამდე დაიყვანოს სასამართლო პროცესის ზემოქმედება და რეპუტაციის დაზიანება, შექმნას და ფრთხილად დაგეგმოს გამოძიება და გამოსწორების სამოქმედო პროცესები.

საბოლოოდ მნიშვნელოვანია თაღლითობის რისკის მართვის მთელი პროცესის მონიტორინგი. ორგანიზაციები იყენებენ მიმდინარე და ცალკეულ (პერიოდულ) შეფასებებს ან ამ ორივეს ერთობლიობას, თაღლითობის მონიტორინგის ღონისძიებების შესასრულებლად. (COSO, 2016)



Organizations(COSO), C. o. (2016). Fraud risk management guide. მოპოვებული www.coso.org: <https://www.coso.org/documents/COSO-Fraud-Risk-Management-Guide-Executive-Summary.pdf>-დან. გვ.12.

ეს ყოვლისმომცველი მიდგომა ცნობს და ხაზს უსვამს ფუნდამენტურ განსხვავებას შიდა კონტროლის სისუსტეებით გამოწვეულ შეცდომებსა და სისუსტეებს, რასაც თაღლითობა იწვევს. ორგანიზაცია, რომელიც უბრალოდ დაამატებს თაღლითობის რისკის შეფასებას შიდა კონტროლის არსებულ შეფასებას, შეიძლება საფუძვლიანად ვერ შეისწავლოს და დაადგინოს მიზნობრივი მოქმედებების შესაძლებლობები. თაღლითობის რისკზე სპეციფიკური და უფრო ფოკუსირებული შეფასების განხორციელება, როგორც ცალკეული თაღლითობის რისკის მართვის პროცესი, უფრო მეტ გარანტიას იძლევა, რომ შეფასებისას ყურადღება გამახვილებულია მიზანმიმართულ აქტებზე. აღნიშნული მიდგომა სავარაუდოდ გამოიწვევს თაღლითობის რისკის უფრო მძლავრ და სრულყოფილ

შეფასებას. იგი ასევე უზრუნველყოფს დამატებით სტრუქტურას, რომელიც საჭიროა თაღლითობის რისკის სრულყოფილი მართვისთვის. თუ ორგანიზაციები იყენებენ უფრო გამარტივებულ მიდგომას (თაღლითობის რისკის შეფასების მხოლოდ შესრულებით), მათ შეუძლიათ ამ შედეგების გაერთიანება 2013 წლის COSO ჩარჩოს შედეგებთან, რათა უფრო მძლავრი პრევენციის და გამოვლენის მექანიზმები შექმნან. (COSO, 2016)

დირექტორთა საბჭო და აუდიტის კომიტეტი უფროს მენეჯმენტთან განიხილავს თაღლითობის რისკ მენეჯმენტის პროგრამას და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ზედამხედველობას. უფროსი მენეჯმენტი (Senior management) პასუხისმგებელია რისკ მენეჯმენტის პროგრამისა და ზემოდან განსაზღვრული ჩარჩოს შემუშავებასა და დანერგვაზე, რაც ქმნის კულტურას მთელს ორგანიზაციაში. საბჭო ადგენს პოლიტიკასა და პროცედურებს, სადაც განმარტებულია, თუ როგორ ახორციელებს ზედამხედველობას, აგრეთვე მასში განსაზღვრულია მოლოდინები ეთიკური ღირებულებების, პატიოსნების, გამჭვირვალობისა და პასუხისმგებლობის დანერგვა განხორციელების შესახებ თაღლითურ რისკ მენეჯმენტის პროგრამასთან მიმართებით. უფროსი მენეჯმენტი აცნობებს საბჭოს სხვა დარჩენილი რისკის შესახებ, თუ არის რაიმე თაღლითობის ან მოსალოდნელი თაღლითობის შემთხვევა. საბჭო იწვევს მენეჯერებს და სვავს მკაცრ კითხვებს ასეთის საჭიროების შემთხვევაში. ამ პროცესში ჩართული არიან შიდა აუდიტორები, გარე რეცენზენტები, დამოუკიდებელი აუდიტორები, საჭიროების შესაბამისად. ზედა რგოლის მენეჯმენტი აფასებს ორგანიზაციის თაღლითობის რისკის მართვის პროგრამას, აქცენტს აკეთებს იმაზე თუ როგორ იყენებს ორგანიზაცია ხუთ პრინციპს ხსენებული პროგრამის მხარდასაჭერად. მენეჯერები და სხვა პერსონალი განიხილავენ თუ როგორ ახორციელებენ თავიანთ პასუხისმგებლობებს და ავრცელებენ სხვა პერსონალთან ინფორმაციას თაღლითობის რისკის კონტროლის გაძლიერების მიზნით. შიდა აუდიტორები განიხილავენ თავიანთ გეგმებს თაღლითურ რისკ მენეჯმენტთან მიმართებაში სტანდარტის

გათვალისწინებით. ძირითადად დამოუკიდებელი აუდიტორები ატარებენ აუდიტს და ახდენენ შიდა შემოწმების სისტემის შეფასებას მათ აგრეთვე შეუძლიათ შეამოწმონ რამდენად ეფექტიანად ხორციელდება თაღლითობის რისკ მენეჯმენტი, საერთაშორისო პრინციპებთან მისი შესაბამისობა. პატარა ორგანიზაციებიც სარგებლობენ სტანდარტებით ადარებენ რა თავიანთ პოლიტიკას აგრეთვე ნერგავენ მიღებულ ტერმინებსა და ცნებებს. აღსანიშნავია რომ მითითებული პრინციპების სწავლება უნივერსიტეტებში მიმდინარეობს. (COSO, 2016)

თაღლითობის რეგულირება ქართულ კანონმდებლობაში

საქართველოში რისკების შესახებ საკანონმდებლო ბაზას თუ გადავხედავთ გავქვს 42 სხვადასხვა სექტორისა თუ დარგის მარეგულირებელი კანონი თუ დადგენილება: „საბანკო წიგნის საპროცენტო რისკის მართვის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“; „სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე“; „საგანგებო სიტუაციის რისკის მართვის გეგმის მომზადების წესების შემუშავების შესახებ“; „ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტული დარგების განსაზღვრის მეთოდებისა და რისკის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“⁷ და სხვა. ყოველი მათგანი ემსახურება დარგის, ეკონომიკური თუ სოციალური მიმართულებით არსებული რისკის მართვას. რისკების მართვის შესახებ აგრეთვე ვრცელადაა ყურადღება გამახვილებული 2016 წლის „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“⁸. აღნიშნულ შეთანხმებაში ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე თაღლითობის

⁷საქართველოს

საკანონმდებლო

მაცნე.

https://matsne.gov.ge/ka/document/search?query=%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%98&geo=on&additional-filter-text&query_target=title&type=main&group&issuer&number&signing_date_fr%5Bdate%5D&signing_date_to%5Bdate%5D®istration_code&publishing_date_fr%5Bdate%5D&publishing_date_to%5Bdate%5D&status&additional_status&op=%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%90&isvoice=0&form_build_id=form-vHJ0JczNoi0X1KXspDdgezHcx0uG67EipJok6PvhQa4&form_id=document_search_form&page=2
(09,06,2020)

⁸ასოცირების შესახებ შეთანხმება. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>
(09,06,2020)

რისკის მართვაზე. შეთანხმებით საქართველო იღებს ვალდებულებას ითანამშრომლოს ევროკავშირთან უკანონო საქმიანობის წინააღმდეგ ღონისძიებებში ასევე თანამშრომლობა მოიცავს პრევენციულ ღონისძიებებს. მაგალითად მესამე კარის 27 მუხლი მოიცავს თანამშრომლობას ისეთ მნიშვნელოვანი დანაშაულების წინააღმდეგ როგორცაა ფისკალური თაღლითობა, კიბერ დანაშაული, კორუფცია, როგორც კერძო აგრეთვე საჯარო სექტორში, დოკუმენტების გაყალბება, ტრეფიკინგი, კონტრაბანდა⁹. შეთანხმებაში აგრეთვე არსებობს მუხლი, რომელიც მოიცავს ვაჭრობის ხელშეწყობას ამასთან უსაფრთხოებასა და თაღლითობის თავიდან აცილების დაბალანსებას¹⁰. შეთანხმებაში გათვალისწინებულია საბაჟო და ვაჭრობაში თაღლითობის თავიდან აცილების შესახებ მითითება¹¹. საგადასახადო თაღლითობის, ე.წ. კარუსელური, ასევე აქციზურ საქონელსა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლაში ურთიერთთანამშრომლობის აღრმავებდა არის ხაზგასმული აგრეთვე¹². მეშვიდე კარის მეორე თავი მთლიანად ეხება თაღლითობასთან ბრძოლას განსაკუთრებით ყურადღება მისაქცევია შემდეგი მუხლები 391, 392, 396, 400, 393 მუხლის მეორე ქვეპუნქტში მითითებულია “თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპის ოფისს (OLAF) შეუძლია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეთანხმდეს საქართველოს შესაბამის ორგანოებთან შემდგომი თანამშრომლობის გზებზე თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, საქართველოს ხელისუფლების ორგანოებთან ოპერატიული მექანიზმების ჩათვლით”¹³. 394 მუხლის პირველი ქვეპუნქტი, 395-ე მუხლი, რომელიც გულისხმობს, რომ ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი დახმარებას გაუწევს შესაბამის უწყებებს,

⁹ასოცირების შესახებ შეთანხმება.მე-17 მუხლი-ის პირველი პუნქტი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>. (09,06,2020)

¹⁰ ასოცირების შესახებ შეთანხმება.66-ე მუხლის მე-2 პუნქტი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>. (09,06,2020)

¹¹ ასოცირების შესახებ შეთანხმება.67-ე მუხლის პირველი პუნქტი „ხ” ქვეპუნქტი,

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>. (09,06,2020)

¹² ასოცირების შესახებ შეთანხმება.282-283-ე მუხლი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>. (09,06,2020)

¹³ ასოცირების შესახებ შეთანხმება.392-ე მუხლი

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>. (09,06,2020)

მათ შორის, თაღლითობასთან ბრძოლაში. 398-ე მუხლში წერია, რომ „თუ საქართველოს ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოები გამოხატავენ ინტერესს, ადგილზე შემოწმებები და ინსპექციები ჩატარდება ერთობლივად ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისისა და მათ მიერ“¹⁴. მეათე დანართში მოცემულია ინფორმაცია სერტიფიცირებასთან დაკავშირებული თაღლითობისა მართვის ან/და პრევენციის მიზნით¹⁵. ოქმი III-ის მე-6 მუხლით დგინდება, რომ იმ შემთხვევაში თუ საქართველო ევროკავშირს მიმართავს კონკრეტულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით, ევროკავშირის დამატებით დახმარების მიზნით აუდიტი თუ შემოწმება განხორციელდება შესაფერისი კვალიფიკაციის მქონე ორგანოს მეშვეობით, დებულებაში, რომელიც დაარეგულირებს მხარეთა ჩართულობას საჭირო ინფორმაცია დეტალურად უნდა იყოს მითითებული¹⁶. IV ოქმში განმარტებულია ტერმინები მათ შორის თაღლითობა, დანახარჯებთან მიმართებით, ნებისმიერ განზრახ ქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც დაკავშირებულია დარღვევასთან¹⁷.

თაღლითობა განმარტებულია, აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც, „თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება ან ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით“¹⁸. აღნიშნული დანაშაული ითვალისწინებს ჯარიმას ან 170-200 საათი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, ასევე დასჯას გამასწორებელი სამუშაო ვადით 2 წლამდე, ასევე შინა პატიმრობას 1-2 წლამდე, მძიმე შემთხვევაში განიხილება სასჯელი 2-4 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. კანონში მოცემულია აღნიშნული დანაშაულის უფრო მძიმედ ფორმით ჩადენის შემთხვევაში აღმკვეთი

¹⁴ ასოცირების შესახებ შეთანხმება. 398-ე მუხლის 4 ქვეპუნქტი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>. (09,06,2020)

¹⁵ ასოცირების შესახებ შეთანხმება. X დანართი 8-9 პუნქტები 9-ის „ხ“ ქვეპუნქტი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>. (09,06,2020)

¹⁶ ასოცირების შესახებ შეთანხმება. III ოქმის 5-6 მუხლები
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>. (09,06,2020)

¹⁷ ასოცირების შესახებ შეთანხმება. IV ოქმის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>. (09,06,2020)

¹⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 180-ე მუხლის პირველი პუნქტი.
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=221#!> (09,06,2020)

ღონისძიებებიც, თაღლითობა, რომელიც წინასწარაა შეთანხმებული და ჯგუფის მიერ ხორციელდება რაც მნიშვნელოვანი ზიანის მომტანია ისჯება ჯარიმით ასევე 4-7 წლამდე თავისუფლების აღკვეთით. თუ თაღლითობა ჩადენილია სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, რამოდენიმეჯერ და რაოდენობაც დიდია 6-9 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება ან ჯარიმით. 7-10 წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯება თაღლითობის დანაშაული თუ იგი ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ან ისეთი პირის მიერ ვინც 2-ჯერ ან მეტჯერაა ნასამართლვეი სხვისი ნივთის მითვისებისთვის რომელიც ეწინააღმდეგება კანონს ან გამოძალვისთვის(სსკ მუხლი 180).

თაღლითობის მთავარი ნიშანი არის მოტყუება, კლასიფიცირდება როგორც განზრახ დანაშაული და დანაშაულის ჩამდენს გაცნობიერებული აქვს რომ თავისი ქმედებით/უმოქმედობით ზიანს აყენებს მესაკუთრეს ან ნივთის მფლობელს. დამნაშავე ატყუებს ან არასწორ ფაქტებს აწვდის მსხვერპლს რათა დაეპატრონოს მის საკუთრებას. უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრების უფლების ხელყოფის სხვა დანაშაულისგან თაღლითობა იმით განსხვავდება, რომ მას აქვს ინფორმაციული სახე. თაღლითობის მსხვერპლი ძირითადად საკუთარი ხელით გადასცემს ნივთს დამნაშავეს ან ქონების გამოყენების უფლებას, რადგან ამ უკანასკნელმა შეცდომაში შეიყვანა არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან სწორი ინფორმაციის დამალვით.

თაღლითობა ბრიტანულ კანონმდებლობაში

მაგალითად ბრიტანულ სამართალში გამოყოფილია თაღლითობის დანაშაულის 3 სახე:

- ✓ პიროვნების გაყალბება - აქ იგულისხმება იმ პირად თავის გასაღება ვინც რეალურად, ყალბად წარდგენა შეიძლება ასეც ვუწოდოთ (fraud by false representation);

- ✓ ინფორმაციის გამჟღავნება - იგულისხმება ყალბი ინფორმაციის გავრცელება ან/და ინფორმაციის დამალვა.(Fraud by failing to disclose information);
- ✓ თანამდებობის ბოროტად გამოყენება - თანამდებობის პირის მიერ უფლებამოსილების გადაჭარბება ან არამიზნობრივად გამოყენება.(Fraud by abuse of position).

იმ შემთხვევაში თუ პირს დაუდგინდა დანაშაული საწინააღმდეგო ღონისძიებები მოიცავს;

- შემაჯამებელი მსჯავრის საფუძველზე, თავისუფლების აღკვეთა ვადით რომელიც არ აღემატება 12 თვეს, ან ჯარიმას რომელიც არ აღემატება კანონით დადგენილ მაქსიმუმს(ან ორივე);
- ბრალდებაზე გამამტყუნებელი განაჩენის გამო, თავისუფლების აღკვეთა ვადით, რომელიც არ აღემატება 10 წელს ან ჯარიმას(ან ორივეს).

ბრიტანულ სამართლის სისტემაში თაღლითობა აგრეთვე მისი თითოეული ნაწილი, რომელიც კლასიფიცირდება ზემოთ მოვახდინე დამოუკიდებლად რეგულირდება არსებობს თაღლითობის მარეგულირებელი წესები და კანონები.

ევროპულ სამართლებრივ კოდექსებში და მათგან ნაწარმოებ სამართლებრივ აქტებში თაღლითობა ფართოდაა განმარტებული, რომელშიც მოცემულია არა მხოლოდ ფაქტის განზრახ არასწორი რეპრეზენტაცია, არამედ აგრეთვე ნორმალურ ბიზნესთან დაკავშირებული გაუგებრობები. ნებისმიერი უმოქმედობა ან დამალვა, რომელსაც ზიანი მოაქვს სხვისთვის ან, რაც საშუალებას აძლევს პირს სხვისი არაკეთილსინდისიერი უპირატესობით ისარგებლოს, შეიძლება წარმოადგენდეს სისხლის სამართლის თაღლითობას. ანგლო-ამერიკულ იურიდიულ სისტემებში, ამ უკანასკნელ სახეობის თაღლითობებს შეიძლება კვალიფიცირდეს როგორც მოტყუება და დაექვემდებაროს სამოქალაქო სამართლის რეგულირებას და არა სისხლის სამართლის კანონს (Britannica).

კრიმინალური თაღლითობის ჩვეულებრივი სახეობაა ქონების მოპოვება ჩეკის ჩაბარებით, რომლისთვისაც ხელმოწერის ანგარიშზე არასაკმარისი თანხებია. მეორე არის ე.წ. ნდობის თამაში (confidence game) (q.v.), რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ფაქტის არასწორად წარმოჩენას, არამედ ასევე მსხვერპლის დამნაშავეს მიერ გამოწვეული ნდობის დაღატაკებას. პირადობის გაყალბება არის ერთი პირის მიერ მცდარი წარმოდგენა, რომ იგი არის სხვა ადამიანი ან რომ იგი იკავებს სხვის პოზიციას. აგრეთვე, გაფლანგვა; ქურდობა¹⁹.

თაღლითობა გერმანულ კანონმდებლობაში

გერმანულ კანონმდებლობაში ისევე როგორც ქართულში თაღლითობა რეგულირდება სისხლის სამართლის კანონმდებლობით (ნაწილი 263) დასახელებულია თაღლითობის ფორმები:

- ✓ ვინც აპირებს მოიპოვოს უკანონო ქონებრივი უპირატესობა საკუთარი თავისთვის ან მესამე მხარისათვის, ზიანს აყენებს სხვისი ქონებას პროვოცირების ან შეცდომაში შეყვანის გზით, გაყალბების ან ნამდვილი ფაქტების არასწორად წარმოდგენით ან ჩახშობით, თავისუფლების აღკვეთა მიესჯება ხუთ წლამდე ან დაჯარიმდება;
- ✓ მცდელობა ისჯება;
- ✓ განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში სასჯელი ითვალისწინებს პატიმრობას 6 თვიდან 10 წლამდე, განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში:
 - მოქმედებს პროფესიონალურად ან როგორც ბანდის წევრი, კავშირშია დოკუმენტების გაყალბებასთან ან განმეორებით (განგრძობით) თაღლითობასთან;

¹⁹ Britannica. (n.d.). Fraud. Retrieved from <https://www.britannica.com/>: <https://www.britannica.com/topic/fraud>. (10.06.2020)

- იწვევს ქონების ფართომასშტაბიან დაკარგვას, ან განმეორებითი თაღლითობით დიდი რაოდენობით ადამიანს აყენებს რისკის ქვეშ;
 - სხვა ადამინებისთვის მოაქვს ეკონომიკური ზარალი;
 - ბოროტად იყენებს უფლებამოსილებას ან თანამდებობას, როგორც საჯარო მოხელე ან ევროპელი საჯარო მოხელე;
 - ცეცხლის განზრახ გაჩენა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ნივთისთვის და მისი სრულად ან ნაწილობრივ განადგურება, გემის განზრახ ჩადირვა ან დაპყრობა.
- ✓ განსაკუთრებით მძიმე ქურდობა(243), სახლისა და ოჯახის ძარცვა (247) და დაბალი ღირებულების მქონე ნივთების ქურდობა, გაფლანგვა;
 - ✓ 1 დან 10 წლამდე სასჯელს ითვალისწინებს ბანდის წევრობა მძიმე განმეორებითი დანაშაულისას და 6 თვიდან 5 წლამდე მსუბუქი დანაშაულის დროს, რომელიც ექვემდებარება სისხლის სამართლის რეგულირებას 263 (თაღლითობა), 264 (სუბსიდიური თაღლითობა-ფაქტების გაყალბება სერთიფიკატების ან ინფორმაციის გრანტის, სუბსიდიის მიღების მიზნით), 267 (დოკუმენტების გაყალბება), 269 (მტკიცებულების შესაბამისი მონაცემების გაყალბება);
 - ✓ სასამართლომ შეიძლება დაავალოს აღმსრულებლის ზედამხედველობა (68) (თუ არსებობს ქმედების განმეორების ალბათობა) (Strafgesetzbuch, § 263 Betrug).

მნიშვნელოვანია გერმანული კანონმდებლობა, რადგან ქართულ კანონმდებლობა დიდ წილად ეფუძნება გერმანულ ანალოგს, კოდიფიცირებული საკანონმდებლო სისტემის ორივე შემთხვევაში კანონს ეფუძნება კრიმინალური შემთხვევის მართვა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ გერმანულ კანონებში თაღლითობის ფენომენი უფრო ამომწურავადაა რეგულირებული რაც მიღწეულია განზოგადებული მუხლების ქვეპუნქტებად უნიფიკაციით.

თაღლითობა ფრანგულ კანონმდებლობაში

რაც შეეხება ფრანგულ კანონმდებლობას საფრანგეთში 18 საკანონმდებლო და მარეგულირებელი დებულება, 1 დროებითი ან ნომინალური ზომების აქტი. პირდაპირ აწესრიგებს სხვადასხვა სახლის თაღლითურ შემთხვევებს და აგრეთვე 49 სხვადასხვა კანონში არის მუხლი, რომელიც თაღლითობასთან დაკავშირებული შემთხვევების დასარეგულირებლად ^{20 21}.

თაღლითობა ამერიკულ კანონმდებლობაში

ამერიკაში არსებული პრეცედენტული სასამართლო სისტემა თაღლითობას აჯგუფებს კატეგორიებად:

- სატელეფონო თაღლითობები;
- საბანკო თაღლითობები;
- აღწერასთან დაკავშირებული თაღლითობა;
- მთავრობის საგრანტო თაღლითობები;
- ინვესტიციის თაღლითობები;
- ლატარიისა და სხვა აზარტული აქტივობებთან დაკავშირებული თაღლითობები;
- საქველმოქმედო თაღლითობები;
- პირამიდის სქემები;
- პონზის სქემები;(სქემები ეყრდნობა ფულს ახალი ინვესტორებისაგან, რომ მიმდინარე ინვესტორებისთვის "ანაზღაურება" გადაიხადონ. სქემის შესასრულებლად, ორგანიზატორებმა უნდა შეინარჩუნონ ახალი

²⁰კანონის ხელმისაწვდომობის საჯარო სამსახური

https://beta.legifrance.gouv.fr/search/all?tab_selection=all&searchField=ALL&query=Fraude&searchType=ALL&fonds=CODE&typePaging=DEFAULT&pageSize=10&page=1&tab_selection=all#all. (11,06,2020)

²¹კანონის გავრცელების საჯარო სამსახური


https://www.legifrance.gouv.fr/rechSarde.do;jsessionid=14948DFA547D23E298D23229B3BC0266.tplgfr38s_1?reprise=true&page=1&lettre=. (11,06,2020)

ინვესტორების რეკრუტირება, როდესაც ვეღარ იღებენ ახალ რეკრუტებს სქემა იშლება)

- ბილეთების თაღლითობები (Common Scams and Frauds).

აღსანიშნავია რომ ამერიკულ კანონმდებლობაში არსებობს შესაბამისი რეგულაციები, ნორმატიული აქტები სხვადასხვა თაღლითობის დანაშაულთან საბრძოლველად²².

მეორე პერიოდულ მოხსენებაში კრიმინალური დანაშაულისა და მისი კონტროლის შესახებ გერმანიაში მოყვანილია სტატისტიკა სხვადასხვა დანაშაულებზე:




ქურდობისა და ძარცვის შემთხვევათა განვითარება, თაღლითობის შემთხვევათა განვითარება 1993წლიდან.https://www.bmjv.de/SharedDocs/Downloads/EN/StudienUntersuchungenFachbuecher/Second_Periodical_Report_on_Crime_and_Crime_Control_in_Germany.pdf?__blob=publicationFile&v=3 გვ.32. (11,06,2020).

²² <https://www.law.cornell.edu/uscode/text/18/1031> (11,06,2020)

დიაგრამაზე მოცემულია სტატისტიკა წვრილმანი ქურდობის შესახებ (Petty theft), ქურდობა დამამძიმებელი გარემოებებით (Theft with aggravating circumstances), თაღლითობა (Fraud), მითვისება გაფლანგვა (Misappropriation and embezzlement).

აღსანიშნავია, რომ თაღლითობას აღმავალი ტენდენცია ჰქონდა.

Offences by type as % of total offences (5,555,520 cases)



2018 წლის გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კრიმინალური პოლიციის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ 5 555 520 იდენტიფიცირებულ შემთხვევათა შორის თაღლითობა მესამე ადგილზეა 15,1%-ით (833 328), მას 19,5% უსწრებს აგრესიული გარემოებების გარეშე და 15,4% აგრესიული ჩადენილი ქურდობა.

გარემოებებით

ჩადენილი

ქურდობა.

2018 წლის პოლიციის დანაშაულების სტატისტიკა https://www.bmi.bund.de/SharedDocs/downloads/EN/publikationen/2019/pks-2018-flyer.pdf?__blob=publicationFile&v=4. გვ.1. (11,06,2020).

ევროკავშირის რეგულაციები თაღლითობის წინააღმდეგ

ევროკავშირში არსებობს, ევროპის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისი- OLAF(Office européen de lutte antifraud). OLAF არის ევროკომისიის ნაწილი, მაგრამ დამოუკიდებელია მისი საგამომიებო ფუნქციებში. იგი იძიებს ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ორგანოებში თაღლითობისა და კორუფციის შემთხვევებს და ეხმარება ევროკავშირის ორგანოებს თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც ევროკომისიის ნაწილი, OLAF ასევე მონაწილეობს ევროკავშირის თაღლითობის საწინააღმდეგო პოლიტიკის შემუშავებაში, მონიტორინგსა და განხორციელებაში. OLAF- ის ძირითადი საქმიანობა ანტი-თაღლითობის პოლიტიკის შემუშავების სფეროში შემდეგია:

- შეიმუშავებს თაღლითობის საწინააღმდეგო პოლიტიკას და კანონმდებლობას;
- ახორციელებს ანალიზს საფრთხის და დაუცველების დასადგენად;
- რეკომენდაციას უწევს თაღლითობის საწინააღმდეგო ზომებს კომისიის დეპარტამენტებს, ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ორგანოებს, ოფისებსა და სააგენტოებს;
- აგროვებს ინფორმაციას საკუთარი საოპერაციო გამოცდილებისა და სხვა წყაროების შესახებ და აზიარებს მათ მონაცემთა ბაზებსა და პროგრამებში;
- აძლიერებს თანამშრომლობას ევროკავშირთან და ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებთან;
- ცნობიერების ამაღლება სემინარების, კონფერენციების, ტრენინგის საშუალებით (OLAF, 1999).

ზემოთ განხილული დოკუმენტაცია და ფაქტები, კანონმდებლობა ცხადყოფს, რომ თაღლითობა საკმაოდ დიდი ისტორიის მქონე და მსოფლიოში გავრცელებული ფენომენია, მის წინააღმდეგ განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა საქართველოსთან შედარებით უფრო დეტალურია და მრავალმხრივი. ევროკავშირში ორგანიზაციაც კი არსებობს თაღლითობასთან საბრძოლველად. წარმატებული, ძლიერი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მაგალითი ცხადყოფს, რომ თაღლითობასთან ბრძოლა უმეტესწილად დაყოფილია ორ ნაწილად, ერთი ნაწილი საწინააღმდეგო ღონისძიებებისა ეთმობა შიდა პრევენციული ღონისძიებების გატარებასა და კონტროლს, თაღლითობასთან ბრძოლას შესაბამისი სტრუქტურით საწინააღმდეგო პრინციპების შეიმუშავებითა და დანერგვით, მეორე ნაწილი გარე თაღლითობის რისკის, რომელიც საკანონმდებლო დონეზე რეგულირდება, ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია, ძირითადად კი განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა ხსენებული სახის დანაშაულის უფრო მეტ დეტალიზებას ახდენს.

საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე აქვს ხელი მოწერილი რომლის ერთ-ერთი განხილვის საკითხი არის თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურება და ევროკავშირის შესაბამისი ორგანოს ჩართვა, აღნიშნული დაეხმარება საქართველოს გაილრმას ცოდნა და გამოცდილება თაღლითობასთან ბრძოლაში.

თაღლითური ბიზნეს რისკის არსი და სახეობები საქართველოში

საქართველო გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების კლასს მიეკუთვნება, სადაც მოსახლეობის 20%-ზე²³ მეტი სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება. ღარიბი მოქალაქისათვის მნიშვნელოვანია პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება პირველ რიგში, ხსენებულ მდგომარეობას(სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეების მაღალი მაჩვენებელი) თან ერთვის უმუშევრობა 11%-²⁴-აღსანიშნავია, რომ ამ მონაცემებში გაითვალისწინება პირი, რომელსაც აქვს სამსახური, თუმცა რაიმე მიზეზით ვერ მუშაობს და სოფლად მცხოვრები მოქალაქე, რომელიც ხელფასის გარეშე საქმიანობს საკუთარი თავის რჩენის მიზნით (ტყემელაშვილი, 2019). ღარიბი მოსახლეობისათვის პრიორიტეტულია ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება (საკვებზე მოთხოვნილება). მცირე შემოსავლების მქონე მოქალაქეები ყოველ ღონეს ხმარობენ, გაზარდონ თავიანთი შემოსავლები და სწორედ ამ დროს თანხმდებიან ისეთ წინადადებას, რომელიც მათთვის შეიძლება საფრთხის შემცველი იყოს. როგორც ამბობენ, „უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია“. ცხოვრების პირობების გაუმჯობესების სურვილით მოქალაქეების ნაწილი დიდ ქალაქებში გადადის საცხოვრებლად, რაც ზრდის მოთხოვნილებას საცხოვრებელ ფართებზე. მეორეს მხრივ იზრდება მარტივად გამდიდრების სურვილი.

ტექნოლოგიების განვითარება, რასაკვირველია, ხელს უწყობს დიდი რაოდენობით ინფორმაციის დამუშავებასა და კონტროლს თუმცა ამასთანავე იძლევა


²³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019.

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done>. (07,07,2020)

²⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019.

<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevropa>. (07,07,2020)

შესაძლებლობას არაკეთილსინდისიერი გზით ფულის შოვნის ახალი გზების გაჩენის რაც ერთის მხრივ პრობლემაა დაზარალებული მოქალაქეებისათვის მეორეს მხრივ



ორგანიზაციებისა და სახელმწიფოსი, რადგან ორგანიზაციებს უჩნდებათ ვალდებულება გაატარონ პრევენციის/დაზღვევის ღონისძიებები რაც ხარჯებთანაა დაკავშირებული და აგრეთვე დაზარალებული მოქალაქე მიმართავს სახელმწიფოს დახმარების სათხოვნელად.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახურის 2019 წლის ანგარიში, <http://is.ge/portals/0/2019year.pdf>
გვ.31.(09,07,2020)

თაღლითობასთან დაკავშირებული შემთხვევები, რომელიც აზიანებს სოციალურ ფონს, მოქალაქეებს და საფრთხეს უქმნის ბიზნესის განვითარებას შესაძლებელია დავყოთ რამდენიმე ძირითად მიმართულებად, რაც განსაკუთრებით აქტუალურია დღეს საქართველოში.

- ✓ ქსელური მარკეტინგი თუ ფინანსური პირამიდა;
- ✓ თაღლითობა დაკავშირებული მიწის რეგისტრაციასა და უძრავი ქონების ბიზნესთან;
- ✓ პერსონალური მონაცემის ქურდობა.

ქსელური მარკეტინგი თუ ფინანსური პირამიდა

ქსელური მარკეტინგი აქტუალურად გამოიყენება ბიზნესის გაფართოების მიმართულების და მას წარმატებულად იყენებენ დიდი კომპანიები, მსოფლიოში ყველაზე დიდი ქსელური მარკეტინგის სფეროში მომუშავე კომპანიაა Amaway რომლის წლიური შემოსავალი დაახლოებით 9 მილიარდი აშშ დოლარია²⁵. ყველასათვის ცნობილი მსოფლიოში გავრცელებული და მათ შორის საქართველოში მოქმედი ქსელური მარკეტინგის სისტემით მომუშავე კომპანიებია “Avon”, “Oriflamme”, “Mary Kay”.

მაგალითად განვიხილავ “Oriflamme“-ის მუშაობის პრინციპს, სადაც ჩავატარე სავლე კვლევა და პირადად გავცანი მათ საქმიანობას. შესაძლებელია თქვენც გინახავთ ან მომავალში ნახოთ საერთაშორისო შვედური კომპანიის ვაკანსია ცნობილ დასაქმების საიტებზე პერსონალის მენეჯერის ან გაყიდვების მენეჯერის პოზიციაზე. დაინტერესების შემთხვევაში ვაკანსიაში მითითებულ ნომერზე გასაუბრობენ, რომ დამატებით ინფორმაციას გასაუბრების ეტაპზე მოგაწვდიან. გასაუბრებამდე კანდიდატი წერს ტესტს და შედის მენეჯერთან გასაუბრებაზე, რომელიც იძლევა ინფორმაციას თუ როგორ შეიძლება გამდიდრდე დღეში 2 საათიანი სამუშაო გრაფიკით ეტაპობრივად შემოთავაზებული წინადადება მიმზიდველია თუმცა რეალობისგან შორს. აღსანიშნავია, რომ წინასწარ ფულად შენატანს არ ითხოვენ. სამუშაო მოიცავს სატელეფონო ზარებს პოტენციურ მომხმარებლებთან, წინასწარ დამუშავებული ტექსტის შესაბამისად პროდუქციის შეთავაზებას 3 კვირიანი სტაჟირების შემდეგ, როცა რეკრუტი საკუთარ მომხმარებლების ბაზას შექმნის გადადის შემდეგ ეტაპზე და თვითონ ათავსებს ვაკანსიებს დასაქმების საიტებზე გუნდის გასაზრდელად. აღნიშნული ქსელური მარკეტინგის სქემა სავლე კვლევისას დადგინდა, რომ უსაფრთხოა არ ითვალისწინებს კაპიტალის ინვესტირებას თუმცა გამდიდრების შესაძლებლობა რის მეშვეობითაც ხდება კანდიდატების დაინტერესება

²⁵ <https://www.cheatsheet.com/money-career/what-are-the-top-mlm-companies-in-2018.html/> (08,07,2020)

არ შეესაბამება რეალობას და რეალურად ათობით წელს შეიძლება მოიაზრებდეს გამართლების შემთხვევაში. აღნიშნული შემთხვევა, საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება განვიხილოთ თაღლითობის მსუბუქ ვერსიად, სადაც ადგილი აქვს ინფორმაციის არასრულად მიწოდებას დაინტერესებული მხარისათვის.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს რომ არსებობენ ქსელური მარკეტინგის სქემით მომუშავე კომპანიები, რომლებიც ყველანაირი წესის დაცვით ახორციელებენ საქმიანობას და დაინტერესებულ პირს აქვს ყველანაირი ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობასთან და ორგანიზაციასთან დაკავშირებით.

ქსელური მარკეტინგი, რომელიც არასწორად ოპერირებს ბიზნეს რისკია წესების დაცვით მომუშავე ქსელური მარკეტინგის სფეროში მომუშავე კომპანიებისთვის რადგან იწვევს რისკს იმიჯთან დაკავშირებით. შესაძლოა სხვა პოტენციური პარტნიორი აღარ დაინტერესდეს თუ ექნება საფრთხის მოლოდინი.

ქსელური მარკეტინგი ზოგიერთ ქვეყანაში აკრძალული საქმიანობაა და ძირითადად მისი აკრძალვა გამოწვეულია იმით, რომ შეიძლება ბევრი არასწორი მიმართულება მოუძებნონ დაინტერესებულმა პირებმა და საფრთხის შემცველიც კი გახადონ. შესაძლებელია ითქვას რომ ფინანსური პირამიდა არის სწორედ ასეთი საშიში სახესხვაობა ქსელური მარკეტინგის და ძირითადად პოტენციურ პარტნიორებს წარუდგენენ როგორც ქსელური მარკეტინგის სისტემა. მსოფლიოში ყველაზე სენსაციური ამერიკული ფინანსური პირამიდა უკავშირდება ბერნარდ მადოფის(Bernard Madoff) სახელს, რომლის ბრუნვა იყო 17 მილიარდი აშშ დოლარი. მადოფმა აღიარა, რომ ენდობოდა პონზის(Ponzi)- ის სქემის მოდელს, იგი აგრეთვე არის ნასდაკის (NASDAQ) ერთ ერთი თანადამფუძნებელი.

როგორც ზემოთ განვიხილე ამერიკულ კანონმდებლობაში პონზის სქემები თაღლითური საქმიანობის სახეობაა, ასე მოიხსენიებენ ფინანსურ პირამიდას მას შემდეგ რაც იტალიელმა მიგრანტმა ჩარლზ პონზიმ(Charles Ponzi) მოამზადა

ლეგენდარული სქემა. თუმცა იგი არ იყო ამ სახეობის სქემის შემქმნელი. სქემას თავდაპირველად უწოდებდნენ „გამარცვე პიტერი რათა გადაუხადო პაულს“ (Robbing Peter to pay Paul) (Neatorama, 2008).

დაბალი სოციალური პირობების მქონე მოქალაქეები ეძებენ საშუალებებს სწრაფად და მარტივად გამდიდრებისა თუმცა ზოგჯერ საშუალებები თვითონ პოულობენ მათ. ფინანსური პირამიდის ძალიან ბევრი სახეობა დაფიქსირდა ბოლო წლებში საქართველოში დაწყებული გახმაურებული Qnet-ის შემთხვევისა გვხვდება ისეთი მაგალითები როგორცაა სავალუტო ბაზარზე მომუშავე კომპანიები.

ზოგიერთი ორგანიზაცია მცირე თანხას ითხოვს ამ თანხაში შედის ტრენინგი საქმიანობის შესასწავლად 1 სემინარი და შემდეგ უკვე „პროფესიონალები“ მოახდენდნენ პროდუქციის რეალიზებას. პროდუქტი იყო პარფიუმერია თუმცა არა ორიგინალი, მაგრამ კარგი ანალოგი და საკამოდ ძვირად იყიდებოდა 200+ ლარი როგორც კომპანია X-ის ხელმძღვანელობა ესაუბრებოდა თანამშრომლებს. იყო შემთხვევა როცა ჰიგიენის საშუალებების რეალიზაციას სთავაზობდნენ პარტნიორებს გარკვეული საწევროს სანაცვლოდ. აღსანიშნავია რომ ორივე შემთხვევაში მომხსენებელი ხაზს უსვამდა რამდენიმე თვეში გამდიდრების შესაძლებლობას. რეალურად კი ფინანსური პირამიდა არის მექანიზმი რომლის სათავეშია დამფუძნებელი და იგი „იკვებება“ ახალი წევრების შენატანებისაგან შემდეგ მოდიან პირველად მიღებული წევრები, რომლებიც მეტად ილბლიანები აღმოჩნდნენ და მათაც უნაწილდებათ სარგებელი პირამიდის ბოლოს, ფუძეში არიან ადამიანები ვისაც არ გაუმართლა ისინი სარგებელს ვერ მიიღებენ, რადგან რთულად ან საერთოდ ვეღარ მოიძიებენ ახალა წევრებს პირამიდაში გასაწევრიანებლად და საბოლოო ჯამში პირამიდა დაიშლება. ძირითად შემთხვევაში ორგანიზაციაში გაფრთხილებენ რომ ბიზნეს საქმიანობა დაკავშირებულია რისკთან თუმცა მოგების შემთხვევაში სარგებელი ძალიან დიდია. წაგებული პირები ქართულ რეალობაში ხშირად არ მიმართავენ სასამართლო სარჩელის გზას, მიზეზი არის ის, რომ მარცხის განცდის

შემდეგ რცხვენიათ აღიარება. შეიძლება ახლობელმა მიიყვანა სქემაში და არ სურს ახლობლის დასმენა. აგრეთვე ყველაზე მძიმე სისტემური შემთხვევაა ის რომ კონკრეტული კანონი, რომელიც პირდაპირ მიმართულია მსგავს სქემებთან საბრძოლველად არ არსებობს ქვეყანაში.

ფინანსური პირამიდის კიდევ ერთი სახესხვაობა, რაც უკანასკნელ პერიოდში გავრცელდა არის საბროკერო კომპანიების მონაწილეობით განხორციელებული სქემა. საბროკერო კომპანიები, როგორც საველე კვლევებიდან დადგინდა ადამიანებს გარკვეული ინვესტიციის სანაცვლოდ ჰპირდებიან სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის და ამ გზით გამდიდრების შესაძლებლობას. ამ ორგანიზაციაში დასაქმებული ძირითადად ახალგაზრდების მოვალეობაში შედიოდა კლიენტთა დარწმუნება უფასო გაკვეთილების შემდეგ შეეტანათ ანგარიშზე თანხა და დახმარებოდნენ შემდგომ ოპერაციების განხორციელებაში. საბროკერო საქმიანობა წლების მანძილზე სწავლას და დიდ გამოცდილებას მოითხოვს ხსენებული პირები კი 2 კვირაში ასწავლიდნენ ტექნიკურ უნარ-ჩვევებს და იმ შემთხვევაში თუ მეტი ცოდნის შექმნა სურდა კლიენტს სოლიდური თანხის გადახდა უწევდა 500 დოლარი და მეტის. აღნიშნული ბიზნეს რისკია რადგან ზოგიერთმა მოქალაქემ გაყიდა საცხოვრებელი და მთელი თანხა ჩადო „ბიზნესში“ მომავალი გამდიდრების მიზნით თუმცა არასწორი მართვის გამო სრულად დაკარგა ქონება. ზოგიერთი მსგავსი საქმის შესახებ დღესაც მიმდინარეობს სასამართლო პროცესი. აღნიშნული აგრეთვე საფრთხეს უქმნის სხვა კეთილსინდისიერად მომუშავე საბროკერო კომპანიების საქმიანობას რადგან მომავალი ინვესტორების თვალში კარგავენ მიმზიდველობას. უნდა აღინიშნოს რომ სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობა და შემოსავლის მიღება არ იბეგრება ანუ ბირჟაზე მოვაჭრე ბროკერი/ტრეიდერი არ იბეგრება რაც რეგულირების პროცესს ართულებს.

ზემოთ განხილული შემთხვევები არის ბიზნეს რისკის სახეობა, რომელიც თაღლითობის კერძოდ კი ინფორმაციის არასრულად მიწოდებას უკავშირდება,

როგორც ეს განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში გვხვდება. წინა მაგალითებიდან ირკვევა, რომ ინფორმაციის არასწორად ან არასრულად ფლობამ შეიძლება დააზარალოს ინდივიდუალური ბიზნესი გაკოტრებამდე მიიყვანოს ის ან საფრთხე შეუქმნას კომპანიის იმიჯს და შეამციროს მოგება.

თაღლითობა დაკავშირებული მიწის რეგისტრაციასა და უძრავი ქონების ბიზნესთან;

2019 წელს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს აუდიტის სამსახურის ანგარიშის მიხედვით სახელმწიფოს მიადგა 122 466 ლარის ზიანი, ხოლო 344 944 ლარის საბაზრო ღირებულების მიწა უკანონოდ იქნა მითვისებული. (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური, 2019, გვ. 25)

მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებული თაღლითობა მძიმე ბიზნეს რისკია მარკო დონეზე, რადგან საქართველო გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება და ქვეყანაში მნიშვნელოვანია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა არსებითი მნიშვნელობა აქვს ინვესტორებისათვის უსაფრთხო გარემოს. იმ შემთხვევაში თუ ინვესტორი აღმოჩნდება თაღლითების მსხვერპლი სასამართლოს მიმდინარეობის პროცესში მოუწევს საქმიანობის შეჩერება რაც ფინანსურ დანაკარგთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა ჩნდება საფრთხე, რომ სხვა ინვესტორი აღარ მოისურვებს ქვეყანაში ინვესტირებას რაც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის არის საფრთხის შემცველი.

ევროპის ბევრი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც ზემოთ განვიხილე აღნიშნული დანაშაული მოიცავს როგორც თაღლითობას ინფორმაციის გაყალბების კუთხით, აგრეთვე თანამდებობის ბოროტად გამოყენებას. გერმანული კანონმდებლობის მიხედვით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად ითვლება და ემატება ისიც, რომ ადამიანთა ჯგუფისთვის მოაქვს ეკონომიკური ზიანი.

უძრავი ქონების ბიზნესთან დაკავშირებული თაღლითობა განსაკუთრებით აქტუალური დიდ ქალაქებშია რაც გამომდინარეობს ურბანიზაციული განვითარებიდან. მოსახლეობის დიდი ნაწილი საცხოვრებლად ქალაქს ირჩევს, რაც ზრდის მოთხოვნილებას საცხოვრებელ ფართებზე იზრდება ამ დროს ჩნდებიან ორგანიზაციები, რომლებიც მეტი შემოსავლის მიღების მიზნით თაღლითურ საქმიანობას მიმართავენ.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გახმაურებული და მასშტაბური საქმეებია „ცენტრ პოინტ ჯგუფისა“ და სამშენებლო კომპანია „სვეტის“ სასამართლო პროცესები. ერთი მხარეს დგას ათასობით დაზარალებული ცენტრ პოინტის შემთხვევაში 6000-მდე დაზარალებული (თარხნიშვილი, 2017). მეორე მხარეს არის კომპანია, რომელს მტკიცებით ბინათმფლობელებს სრულად არ ჰქონდათ გადახდილი თანხა რაც გახდა მიზეზი, მშენებლობის დაუსრულებლობის. „სვეტის“ შემთხვევაში კი ერთ-ერთ ობიექტზე საერთოდ ვერ გადავიდა ადგილი კომპანიის მფლობელობაში, სადაც შენობა, საცხოვრებელი ფართი უნდა აშენებულიყო.

ათასობით დაზარალებული სახელმწიფოს მიმართავს დახმარების თხოვნით მეორეს მხრივ კოტრდება ორგანიზაცია, რაც ბიზნეს რისკის წარმოადგენს. სამშენებლო კომპანიებში იპოთეკით შეძენილი და არ აშენებული ბინები პრობლემაა ბანკებისთვის გადაუხდელი პროცენტებით მიყენებული ზარალი ბიზნეს რისკს წარმოადგენს. მართალია სხვა სამშენებლო კომპანიამ შეისყიდა ორივე შემთხვევაში ვალდებულებები, მაგრამ არა მთლიანად. შეისყიდა მხოლოდ ვალდებულებების ნაწილი. ამ შემთხვევაში შიდა თაღლითების მიმართულება, რაც გულისხმობს ფინანსური რესურსის არა მიზნობრივად გამოყენებას, გაფლანგვას გამოიწვია კომპანიის გაკოტრება, დააზარალა მოქალაქეები და ეკონომიკური ზიანი მიაყენა მესამე ორგანიზაციას(ბანკებს). კიდევ ერთი ზიანი რასაც მსგავსი შემთხვევები იწვევს არის ნდობის დაკარგვა მოსახლეობის ნაწილი კარგავს ნდობას და მშენებარე

ფართების შეძენასთან დაკავშირებით იკავებს თავს რაც მთელ სექტორს(სამშენებლო ბიზნესის) უქმნის ბიზნეს რისკს.

კიდევ ერთი პრობლემა უძრავ ქონებასთან დაკავშირებით არის უკვე გაყიდული ფართის ხელახლა გასხვისება, ინფორმაციის დამალვის, თაღლითობის მიმართულებით რაც სახელმწიფო ორგანიზაციას უქმნის პრობლემას. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან იძლევა ინფორმაციას ვინაა მფლობელი უძრავი ქონების და არის თუ არა ქონება დაყადაღებული, თუმცა თუ ამონაწერი განსაახლებელია და მესაკუთრემ ამონაწერის მიღების შემდეგ გაყიდა ან დააყადაღა ქონება, განახლების მოთხოვნის გარეშე ამონაწერი აჩვენებს ძველ ინფორმაციას, რასაც შეჰყავს მყიდველი შეცდომაში.

სსიპ საჯარო რეესტრის, პროექტების მართვისა და გაყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, მარიამ ტურაშვილმა ინტერვიუს დროს დაგვიდასტურა, რომ საჯარო რეესტრში ინფორმაცია საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით საიმედოდაა დაცული, რასაც უზრუნველყოფს ბლოკჩეინ ტექნოლოგია. მისი თქმით „თითოეულ ამონაწერს აქვს თავისი ინდივიდუალური ჰეშ კოდი, რომელიც გენერირდება თითოეული ამონაწერისათვის და რელევანტურია მხოლოდ ამ ერთი კონკრეტული დოკუმენტისთვის ეს კოდი იგზავნება ბლოკჩეინში, იდენტური ჰეშ კოდი ბიტკოინ ბლოკჩეინსა და რეესტრის ვებ გვერდზე ადასტურებს, რომ ამონაწერი არის ნამდვილი. ამ ეტაპზე ბლოკჩეინში 2017 წლის თებერვლიდან დღემდე 3 მილიონზე მეტი ამონაწერია დაცული“. ბლოკჩეინს, „განაწილებულ მონაცემთა ბაზას“ საჯარო რეესტრი იყენებს, როგორც სათავსოს, რომელშიც ინახება მხოლოდ ჰეშ კოდები და არა ამონაწერი, ამის მიზეზი არის ის, რომ ჯერ ერთი ბიტკოინ ბლოკჩეინი არ იძლევა დიდი მოცულობის ინფორმაციის ატვირთვის შესაძლებლობას და მეორე მხრივ ამ გზით კიდევ უფრო დაცულია პერსონალური მონაცემები. ინფორმაცია დაცულია, ჰაკერული თავდასხმისაგან, სისტემა არის დეცენტრალიზებული, გამჭვირვალე რაც ასევე გამორიცხავს კორუფციის

შესაძლებლობას. იგი არ იმართება ერთი კონკრეტული პირის ან ორგანიზაციის მიერ, რაიმე სახის არასანქცირებული ცვლილების შეტანის მცდელობა იწვევს მთელი სისტემისგან, აღნიშნული ჩარევის, დაბლოკვას. ინფორმაცია დაცულია აგრეთვე ფიზიკური განადგურებისაგან, იმ შემთხვევაშიც კი თუ ერთ კომპიუტერს რაიმე საფრთხე შეექმნა, მონაცემი სხვა ათასობით კომპიუტერშია დაცული.

აღსანიშნავია რომ საქართველო არის პირველი ქვეყანა, რომელმაც საჯარო სივრცეში ბლოკჩეინ ტექნოლოგია დანერგა, ინტერვიუში ქალბატონმა მარიამმა აღნიშნა, რომ ილინოისის წარმომადგენელი ორი კვირის წინ გამართულ კონფერენციაზე მომავალში საუბრობდა იმ საკითხების განხორციელებაზე რაც საქართველოში უკვე დასრულებულია, წარსულია.

უსაფრთხო მონაცემთა ბაზების შექმნა არაა საბოლოო შედეგი რითაც საჯარო რეესტრი კმაყოფილდება და მუშაობა მიმდინარეობს სანდო კონტრაქტებზე. ინტერვიუს დროს ქალბატონმა მარიამმა ახსენა, რომ დაინდენტიფიცირებული ძირითადი პრობლემა რაც მოქალაქეებს აწუხებდათ არის ნდობის ფაქტორი. ძირითადი დილემაა როდის უნდა გადავიხადოთ ქონების ღირებულება როცა ჩავაბარებთ დოკუმენტაციას თუ როცა საბოლოოდ დარეგისტრირდება?! ერთ-ერთ მხარეს ყოველთვის უწევს კომპრომისზე წასვლა. თრასთ კონტრაქტის მეშვეობით თანხა იდება ბანკის ესქროუ ანგარიშზე და ტრანზაქციის შედეგის მიხედვით მოხდება მისი ავტომატური გადარიცხვა მყიდველის ან გამყიდველის ანგარიშზე.

შემდეგი შეიძლება ითქვას ბოლო ეტაპი არის, „სმარტ“-გონიერი კონტრაქტების დანერგვა, რაც გულისხმობს რომ ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტები, სველი ბეჭდები და ა.შ. საჭირო აღარ იქნება, მოქალაქეს აღარ მოუწევს მიმართოს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს, ბანკს, ნოტარიუსებს; მონაცემთა ბაზები თვითონ მოახდენენ ციფრულ კომუნიკაციას და თითოეული ნაბიჯი, რაც მანამდე ხდებოდა მესამე პირის ჩართულობით შესაძლებელი იქნება განხორციელდეს ავტომატურად.

მთავარი გამოწვევა, რაზეც ქალბატონმა მარიამმა ისაუბრა ინტერვიუს მსვლელობისას, როგორც სმარტ კონტრაქტების დანერგვის შემაფერხებელ ფაქტორებზე ესაა საკანონმდებლო ბაზე, რომლის ცვლილების საჭიროებაც აუცილებელია სმარტ კონტრაქტების შემთხვევაში, ასევე ნების გამოვლენის ნამდვილობის დადგენა (რამდენად ქმედითუნარიანი ან თავისის ნებით აკეთებს ტრანზაქციის ინიცირებას). მნიშვნელოვანი ფაქტორია ინტერნეტ დაფარვის და სარგებლობის დაბალი დონე ქვეყანაში. (ტურაშვილი, 2020)

პერსონალური მონაცემის ქურდობა

უკანასკნელ პერიოდში მთელის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევა გახდა პირადი მონაცემების უკანონოდ მითვისება. კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა გააჩინა ახალი შესაძლებლობები და ეს შესაძლებლობები ხელმისაწვდომია მათ შორის თაღლითობისთვისაც, ვისაც შეუძლია თავის სასარგებლოდ დააზარალოს სხვა. აღნიშნული თაღლითობის მიმართულება ითვალისწინებს ადამიანის პირადი ინფორმაციის მითვისებას და თავი სასარგებლოდ გამოყენებას. ამ მონაცემებში იგულისხმება საბანკო ანგარიშები, რომელსაც თაღლითი საკუთარი ინტერესების შესაბამისად იყენებს. პირადი მონაცემების მოპარვის შემდეგ პირს, რომელმაც მოიპარა ეს უკანასკნელი ეძლევა შესაძლებლობა მართოს მსხვერპლის საბანკო ტრანზაქციები. დაამზადოს ყალბი საკრედიტო და სადებეტო ბარათები რაც იწვევს მსხვერპლისთვის ფინანსურ ზარალს. პირად მონაცემებზე წვდომას ძირითადად თაღლითები ახდენენ კომპიუტერული ვირუსების მეშვეობით, რომელიც შესაძლებელია მიიღოს მსხვერპლმა შეტყობინების სახით მეგობრისგან. არსებობ შემთხვევები როცა თაღლითი სატელეფონო ზარის მეშვეობით ახდენს მსხვერპლის პირადი მონაცემების დატაცებას. აგრეთვე თაღლითობის მიმართულებით აქტიურად გამოიყენება ინფორმაციის დატაცებისთვის ორიგინალ ანალოგთან მიმსგავსებული საიტების დასახელებები. ბანკები აქტიურად აფრთხილებენ საკუთარ მომხმარებლებს არ გაანდონ უცხო პირებს საკუთარი პერსონალური ინფორმაცია და მაშინაც კი, როდესაც სარგებლობენ ინტერნეტ ან მობაილ ბანკის მომსახურებით

მოუწოდებენ თავიანთ მომხმარებლებს რომ გადაამოწმონ ინფორმაციის შეყვანის წინ, რომ ვებ გვერდი ნამვილად ეკუთვნის ბანკს. ამის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს ეროვნული ბანკიც.

ინფორმაციის დაცვის მიზნით მნიშვნელოვანია რომ სხვა პირის კომპიუტერით სარგებლობისას არ ჩარჩეს პირადი მონაცემი მის კომპიუტერში. ასევე ბანკები და ფინანსური ინსტიტუტები გვაფრთხილებენ, რომ საკუთარ კომპიუტერში მონაცემების დამახსოვრებასაც მოვერიდოთ. მითითებაა რომ მომხმარებელმა თვითონ შეიყვანს როგორც მომხმარებლის სახელი აგრეთვე პაროლი.

მიმდინარე წლის პირველი ივლისიდან ამოქმედდა დეპოზიტების დაზღვევის პროგრამა, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ კანონის შესაბამისად. ყველა კომერციულ ბანკში მიუხედავად დეპოზიტზე არსებული თანხების რაოდენობისა დეპოზიტი დაზღვეულია. დამატებითი თანხის გადახდა ამ შემთხვევაში არ უწევთ მომხმარებლებს. საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მონაცემებით 15-მა კომერციულმა ბანკმა 2020წლის მაისის თვის რეგულარული სადაზღვეო ჯამური თანხა 1 559 925 ,41 ლარი ივნისში დაფარეს (საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო, 2020). დაზღვეული დეპოზიტი ანაზღაურდება სააგენტოს მიერ 15 000ლარის ფარგლებში.

საინტერესო იქნებოდა ბანკებიდან მიღებული ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა სტატისტიკური მონაცემი არსებობს წლის განმავლობაში პერსონალური მონაცემების ქურდობასთან დაკავშირებით. აგრეთვე საინტერესოა წამყვანი ბანკების გამოცდილება, თუ როგორ ახდენენ პერსონალური მონაცემების დაცვას რა სისტემას იყენებენ ამისთვის. კითხვები არსებობს პრობლემის იდენტიფიკაციის შემთხვევაში რა საშუალებებით ზემოქმედებენ მის აღმოსაფხვრელად ანუ რა ღონისძიებები ტარდება. თუმცა საჯარო რეესტრისაგან განსხვავებით ეს მონაცემები ბანკებისთვის კონფიდენციალურ ინფორმაციას წარმოადგენს როგორც გამოთხოვილი ინფორმაციის განცხადების საპასუხოდ შეგვატყობინეს.

დასკვნა

კვლევის მიზანს წარმოადგენდა თაღლითური ბიზნეს რისკების იდენტიფიცირება, პირველ რიგში, რისთვისაც კვლევის დროს გამოყენებულ იქნა სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობა აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციების გამოცდილება, რომლებიც კონკრეტულად ამ მიმართულებით მუშაობენ. მონაცემთა ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ თაღლითობის ფენომენს საკმაოდ დიდი ისტორია აქვს, აღნიშნული თემატიკით არსებობს მუზეუმი. მისი ძირითადი ბუნება მდგომარეობს იმაში, რომ ინფორმაციული ხასიათსაა და ძირითადად მსხვერპლი თავისი ნებით, არასწორად მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ებმება მახეში. კვლევის შედეგად საშუალება გვქონდა გავცნობოდით თაღლითური ბიზნეს რისკების მაგალითებს და გაგვეგო მათი ფუნქციონირების თავისებურებები. რეტროსპექტიულმა ანალიზმა ცხადყო, რომ რისკის ეს სახეობა დინამიურია და ადვილად ადაპტირდება თანამედროვე მიღწევებთან. ზოგიერთ შემთხვევაში საკუთარი ინტერესებისთვის იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, რაც იწვევს ორგანიზაციების სარგებლის შემცირებას ან გაკოტრებას. კვლევისას ნათელი გახდა, რომ თაღლითობის რისკი შეიძლება მომდინარეობდეს შიდა წყაროდან ან გარე ზემოქმედებით იყოს გამოწვეული.

რისკების სახეობების იდენტიფიცირების შემდეგ, მეორე ეტაპი გახლდათ ზემოქმედების გზების ძიება ამ მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების მითითებები მოცემულია ნაშრომში აგრეთვე საინტერესო მიგნებები არსებობს განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში. გერმანულ კანონმდებლობაში თაღლითობის მცდელობაც კი დასჯადია. დეტალურად თაღლითობის არსს გადმოსცემს ბრიტანული კანონმდებლობა. ამ ორი ქვეყნის კანონმდებლობის მაგალითების გათვალისწინება ქართულ სამართალში, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება, რადგან მოხდება თაღლითობის მეტი სპეციფიკაცია, რაც ხელს შეუწყობს შემთხვევების გამოვლენას და შემდგომში მათზე სათანადო რეაგირებას.

კვლევის შედეგად მიღებულია მიგნებები. პირველ რიგში საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებით მიღებული აქვს თაღლითობასთან საბრძოლველად მხარდაჭერა. მიმართვის შემთხვევაში ევროკავშირის სპეციალიზებული ორგანიზაცია (OLAF) ამ (თაღლითობის) მიმართულებით ქვეყანას გაუწევს შესაბამის დახმარებას. არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო მოდელები, რომლებიც ახდენენ ხსენებული დანაშაული მეტ დეტალიზებას, რაც ეფექტური გამოვლენას და აღმოფხვრის წინაპირობაა. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თაღლითობასთან ბრძოლა მნიშვნელოვანია როგორც ორგანიზაციის გარე საფრთხესთან აგრეთვე შიდა დონე. შიდა ორგანიზაციულ დონეზე თაღლითობასთან საბრძოლველად ზემოთ განხილულია COSO-ს მოდელი.

ტექნოლოგიური მიღწევების განვითარების შესაბამისად მნიშვნელოვანია პერსონალური ინფორმაციის დაცვა, საიდენტიფიკაციო მონაცემებთან დაკავშირებით თუ საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით. განსაკუთრებით როცა ქვეყანა დაინტერესებულია მოიზიდოს ინვესტიციების დიდი რაოდენობა მნიშვნელოვანია სთავაზობდეს მაღალი დონის დაცულობის გარანტიებს ინვესტორს. ამ მიმართულების აღსანიშნავია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ საქმიანობა, ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ საქართველო არის ის პირველი

ქვეყანა, რომელიც საკუთრების უფლების დაცვის ყველაზე თანამედროვე და საიმედო საშუალებას იყენებს, ამას ადასტურებენ საერთაშორისო გამოცემებიც.

რეკომენდაციების მიმართულებით, საჭიროა პირველ რიგში საკანონმდებლო ბაზის მეტი დეტალიზება, იმასთან მიმართებაში, თუ რა არის თაღლითობა და სახეობებს მოიცავს. სასურველია აიკრძალოს საქმიანობის ზოგიერთი მიმართულება (კონზის სქემები), რადგან ზიანს აყენებს საზოგადოებას და საერთო სოციალურ ფონს აუარესებს, საფრთხეს უქმნის მსგავსი ბიზნესის განვითარებას. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ბაზის მოდერნიზაცია რათა საშუალება მიეცეს განვითარდეს ჭკვიანი კონტრაქტების იდეა პრაქტიკაში რაც თაღლითების რისკს შეამცირებს, ნდობის ხარისხს გაზრდის და მოიზიდავს ინვესტორებს.

მნიშვნელოვანია საჯარო სექტორის მხრიდან მათ სისტემაში უკვე დანერგილი ინფორმაციის დაცვის მოდელის პოპულარიზაცია ქვეყნის შიგნით ფართო მასებში, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლების მიმართულებით.

საინტერესო იქნება აღნიშნული კვლევის გაგრძელება კერძო სექტორის მიმართულებით იმ საშუალებების გაცნობა, რასაც იყენებენ თაღლითობასთან ეფექტურად საბრძოლველად, ინფორმაციის დაცულობის მიმართულებით.

1. References

2. ვერულავა, თ. (2013). *რისკის მართვა*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
3. თარხნიშვილი, ნ. (2017 წლის 31 მარტი). ოთხ-ოთხი წელი „ცენტრ პოინტის“ საქმეზე ბრალდებულ დებს. *რადიო თავისუფლება*, გვ.
<https://www.radiotavisupleba.ge/a/tsentr-pointis-saqme/28402553.html>.
4. მინისტრი, ს. ს. (2014). *ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის*. თბილისი: matsne.gov.ge.
5. ნარმანია, დ. (2016). რისკ-მენეჯმენტი ბიზნესში. თბილისი.
6. ნარმანია, დ. (2016). რისკ-მენეჯმენტი ბიზნესში. თბილისი.
7. სამსახური, ს. ს. (2020 წლის 1 აპრილი). *საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური*. მოპოვებული www.geostat.ge:
<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/67/organizatsiul-samartlebrivi-formebis-mikhedvit-დან>
8. *საქართველოს დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო*. (2020 წლის 16 ივნისი). მოპოვებული <http://diagency.ge/>:
<http://diagency.ge/ka/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3>

%E1%83%9A%E1%83%98-

%E1%83%91%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%99%E1%83%94%E1%83%91%E1%83-დან

9. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2019). მოპოვებული www.geostat.ge: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done>-დან
10. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური. (2019). მოპოვებული <http://is.ge/>: <http://is.ge/portals/0/2019year.pdf>-დან
11. ტურაშვილი, მ. (2020). ინფორმაციის დაცვა საჯარო რეესტრში [ჩაწერილია: თ. ლუდნიშვილი]. თბილისი.
12. ტყემელაშვილი, შ. (2019 წლის 24 January). *Business media Georgia*. მოპოვებული www.bm.ge: <https://www.bm.ge/ka/article/dasaqmebis-metodologia-icvleba---tvitdasaqmebul-ta-didi-nawili-dasaqmebulebad-agar-chaitvleba/28832>-დან
13. ACFE. (2020). *www.acfe.com*. Retrieved from <https://www.acfe.com/Fraud-Risk-Management/>
14. ACFE, A. o. (n.d.). *ACFE Fraud Museum*. Retrieved from www.acfe.com: https://www.acfe.com/uploadedFiles/ACFE_Website/Content/documents/fraud-museum.pdf
15. BEATTIE, A. (2019, November 7). *The Pioneers of Financial Fraud*. Retrieved from Investopedia: <https://www.investopedia.com/articles/financial-theory/09/history-of-fraud.asp>
16. Boitnott, J. (2019, April 8). *Planning for Growth:7 Business Risks Every Business Should Plan For*. Retrieved from www.americanexpress.com: <https://www.americanexpress.com/en-us/business/trends-and-insights/articles/7-business-risks-every-business-should-plan-for/>
17. Britannica. (n.d.). *Fraud*. Retrieved from <https://www.britannica.com/>: <https://www.britannica.com/topic/fraud>
18. *Common Scams and Frauds*. (n.d.). Retrieved from <https://www.usa.gov/common-scams-frauds#item-213719>: <https://www.usa.gov/common-scams-frauds#item-213719> (11,06,2020)

19. COSO, C. o. (2016). *Fraud risk management guide*. Retrieved from www.coso.org: <https://www.coso.org/documents/COSO-Fraud-Risk-Management-Guide-Executive-Summary.pdf>
20. COSO, C. o. (2016). *Fraud risk management guide*. Retrieved from www.coso.org: <https://www.coso.org/documents/COSO-Fraud-Risk-Management-Guide-Executive-Summary.pdf>. pg.12.
21. Cunningham, L. (2015, 12 2). *Credit cards&loans*. Retrieved from Your Money.com: <https://www.yourmoney.com/credit-cards-loans/a-history-of-fraud-through-the-ages-and-how-to-avoid-being-a-victim/#:~:text=The%20earliest%20recorded%20attempt%20of,an%20insurance%20policy%20against%20them.&text=Of%20course%2C%20if%20on%20safe,and%20its%20c>
22. Dionne, G. (2013, October 21). *Wiley online library*. Retrieved from Risk Management: History, Definition, and Critique: <https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/rmir.12016>
23. *Fraud*. (2009, October 1). Retrieved from <http://www.legislation.gov.uk/>: <http://www.legislation.gov.uk/ukpga/2006/35/crossheading/fraud>
24. Ghosh, A. (2013, December 22). *Security analysis and investment management*. Retrieved from <https://www.slideshare.net/ani12345678/mba-fm-02-security-analysis-and-portfoliointroduction>
25. Hamilton C., Adolphs S., Nerlich B. (2007, March 2). The meanings of 'risk': a view from corpus linguistics. *Discourse & Society*, 164.
26. Hamilton C., Adolphs S., Nerlich B. (2007). The meanings of 'risk': a view from corpus linguistics. *Discourse & Society*, 166.
27. Hopkin, P. (2010). Fundamentals of risk management . In *Understanding, Evaluating and Implementing Effective Risk Management, London, UK* (p. 29). London: Kogan Page Limited.
28. Hutchins, G. (2019, June 7). *Accendo Reliability*. Retrieved from <http://accendoreliability.com>: <https://accendoreliability.com/iso-31000-principles-risk-management/>
29. Kenton, W. (2019, April 15). *Business Risk*. Retrieved from <https://www.investopedia.com/business-essentials-4689832>: <https://www.investopedia.com/terms/b/businessrisk.asp>

30. Megan F.HessaJames H.CottrellJr.b. (2016). Fraud risk management: A small business perspective. *ScienceDirect*, 1.
31. *Neatorama*. (2008, December 22). Retrieved from www.neatorama.com:
<https://www.neatorama.com/2008/12/22/9-most-brazen-ponzi-schemes-in-history/>
32. OLAF. (1999). https://ec.europa.eu/anti-fraud/home_en. Retrieved from ec.europa.eu:
https://ec.europa.eu/anti-fraud/home_en
33. *Strafgesetzbuch, § 263 Betrug*. (n.d.). Retrieved from Bundesministerium der justiz und für verbraucherschutz: https://www.gesetze-im-internet.de/stgb/_263.html
(11.06.2020)
34. Webster. (2020, May 6). *Merriam-Webster.com dictionary*. Retrieved from <https://www.merriam-webster.com/>: <https://www.merriam-webster.com/dictionary/risk#h2>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University



Tamar Gugunishvili

**Business risk management issues in Georgia
(on the example of fraudulent business risk)**

Thesis is performed to obtain the academic degree of master of business
administration

Supervisor: Head of the department of management and administration,
Professor-David Narmania

Tbilisi
2020